პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 147 (18689) კვირა, 26 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

26 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა

ხმას ვაძლევ მშვიდობას!

„ხმას ვაძლევ მშვიდობას! მშვიდობას, რომლისთვისაც ჰიტლერულ ფაშიზმთან სისხლიან ბრძოლაში ჩვენმა მამებმა და პაპებმა 20 მილიონი სიცოცხლე შესწირეს. მშვიდობას, რომელსაც დღეს ემუქრებიან პენტაგონისა და ნატოს გენერლები, რომლებიც ისწრაფვიან განახორციელონ დასავლეთ ევროპაში საშუალო სიმორის იარაღის განლაგების სახიფათო გეგმები, ციინიკურად საბოტაჟს უწევენ საბჭოთა საშვიდობო ინიციატივებს, რითაც პლანეტას უბიძგებენ ბირთვული უფსკრულისაკენ. ამით მომავალს ართმევენ დედამიწის ახალგაზრდა თაობას. არავის აფიფეთქებინებთ მსოფლიოს!“

ეს სტრიქონები წარწერილია ოთხ ათას ბიულეტენ-ღია ბარათის წინა მხარეზე, რომელსაც ხელს აწერენ თბილისელი პიონერები — მონაწილენი ომისსაწინააღმდეგო რეფერენდუმისა „ხმას ვაძლევ მშვიდობას!“ ეს რეფერენდუმი 24 ივნისს გაიმართა პიონერთა ქალაქ „მზიურში“, რომელზეც შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის ყველა საქალაქო და რაიონული პიონერთა ბანაკის ნორჩ ლენინელთა რაზმები. საბჭოთა ახალგაზრდობის მშვიდობის მარშის ფარგლებში ჩატარებული რეფერენდუმი გახდა იმის მკაფიო გამოვლინება, რომ ჩვენს ქალაშვილებსა და ჭაბუკებს ახასიათებს ომის საწინააღმდეგო მისწრაფებანი, რომ ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ კურსს, რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

აქ გამართულ ომისსაწინააღმდეგო მიტინგზე ბავშვების მგზნებარე, ამღელვებელ გამოსვლებში შერწყმული იყო ნორჩი თაობის შეშფოთება და გულისწყრომა, მტკიცე გადაწყვეტილება დაიცვას მშვიდობა. საბჭოთა ახალგაზრდობის დღის წინ მასობრივი ომისსაწინააღმდეგო ღონისძიებანი, სპარტაკიადა მიტინგები, დემონსტრაციები და მარშები, მშვიდობის გაკვეთილები, პოლიტიკური და პატრიოტული სიმღერის ფესტივალები იმართება რესპუბლიკის საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციაში, ყველა საწარმოსა და მეურნეობაში, სტუდენტთა სამშენებლო რაზმებსა და მოსწავლეთა შრომითის გაერთიანებებში. 25 და 26 ივნისისათვის დანიშნულია ახალგაზრდობის საერთო საქალაქო მანიფესტაციები სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში. ამ დღეებში მშვიდობის დნობას შესრულებენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივები.

თავის მაღალ მოქალაქეობრიობას ახალგაზრდობა გამოავლენს კომკავშირულ-ახალგაზრდულ შაბათობაზე, რომელიც დღეს არის, რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ შაბათობას ეხმაურებიან აგრეთვე პარტიის ვეტერანები, კადრის მუშები, ახალგაზრდობის დამრიგებლები.

(საქინფორმი).

* * *

სურათზე: თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი.

ს. კილაძის ფოტო.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანები

ახალი საზოგადოების აღმშენებლობის საქმეში ჩვენი პარტია, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედებს მეცნიერულ საფუძველზე, ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მკვიდრ საძირკველს, მოწინავე მეცნიერებას. თანამედროვე პირობებში, როცა მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის რთული და მასშტაბური ამოცანები წყდება, საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იზრდება.

უკანასკნელ ხანს კომუნისტთა პარტიის მარქსისტულ-ლენინური არსებული დიდმნიშვნელოვანი იდეებითა და განზოგადებებით გამდიდრდა. მათ შორის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემუშავებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა მეცნიერებს — საზოგადოებათმცოდნეობის სხვადასხვა დარგების წარმომადგენლებს. მაგრამ, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, სამწუხაროდ, მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ უკარნახებს პრაქტიკას, მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების ჯეროვან, განვითარებული სოციალიზმის პრინციპებისა და პირობების შესაბამის გადაწყვეტას. სამეცნიერო დაწესებულებებსაც შეუძლიათ უფრო საფუძვლიანი დახმარება გაუწიონ პარტიას.

„ჩვენ ჯერაც არ შეგვისწავლია სათანადოდ საზოგადოება, რომელშიც ეცხოვრობთ და ვშრომობთ, — თქვა პლენუმზე გამოსვლისას ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ბოლომდე არ გამოგვივლენია მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, განსაკუთრებით ეკონომიკური. ამიტომ ბევრჯერ იძულებული ვართ ვიმოქმედოთ, ასე ვთქვათ, ემპირიულად, ცდებისა და შეცდომების ერთობ არარაციონალური ხერხით“.

ზოგიერთი, როგორც აკადემიის, ისე დარგობრივი, სამეცნიერო დაწესებულების, საქმიანობას ახასიათებს თეორიული სიბერწე, ისინი საკუთარი „სადისერტაციო“ და ჯგუფური ინტერესების ფარგლებს ვერ გასცილებიან, მათი გეგმების თემები უმნიშვნელოა. მნიშვნელოვანწილად, პარტიული გავლენის სისუსტით აიხსნება ზოგიერთ სტატიასა და მონოგრაფიაში არსებული მცდარი დებულებები, მატერიალისტური დიალექტიკის ფუნდამენტური პრინციპებისაგან გადახვევის ცდები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მისი შემოქმედებითი ხასიათის როლის ყოველგვარ შეუფასებლობას, მისი დებულებების ვიწროპრაგმატიკულ განმარტებას, კონიუნქტურას, ან სქოლასტიკურ თეორეტიკოსობას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული პოლიტიკური და იდეოლოგიური შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოითხოვა გაააქტიუროთ კვლევა-ძიება, უზრუნველყოთ სამეცნიერო დაწესებულებების, ყველა საზოგადოებათმცოდნე მეცნიერის მტკიცე შემბრძოლნება განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის საკვანძო ამოცანებისაკენ. პარტიულ კომიტეტებს, მეცნიერების ორგანიზატორებს მართებთ მეტი ყურადღება დაუთმონ დაგეგმვის, კვლევის სტილისა და მეთოდების, სამეცნიერო კოლექტივების იდეური აღზრდის, მათი მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტის ამაღლების საკითხებს.

ПРАВДА
25 ივნისის მოწინავე

პარტია და სახელმწიფო ეკონომისტების, ფილოსოფოსების, ისტორიკოსების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, იურისტებისაგან მოელიან წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საიმედო გზების შემუშავებას, საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბების, სოციალური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის კანონზომიერებების, სოციალისტური სახალხო ხელისუფლების, საზოგადოებრივი შეგნების, კომუნისტური აღზრდის პრობლემების კვლევას. სულ უფრო მწვავედ იგრძნობა მოთხოვნილება სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის დარგის სერიოზულ გამოკვლევებზე. განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი საკითხები, როგორიც არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება, დაგეგმვისა და მართვის სისტემის გაუმჯობესება, საერთო-სახალხო, სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტის უზრუნველყოფა, განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფა, მეცნიერული ფასწარმოქმნის ინტერესები და ბევრი სხვა რამ, ყურადღებიან შესწავლა-შეფასება და განზოგადება სჭირდება მოძმე სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებას. საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობის, მსოფლიო სოციალიზმის განვითარების, მსოფლიო რევოლუციური პროცესის ახალი მოვლენების, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ყველა ასპექტისა და მხარის ღრმა ანალიზი. საზოგადოებათმცოდნეთა ნამუშევრები უნდა განხორციელდეს პარტიულ რეკომენდაციებად, დასაბუთებულ სოციალურ პროგნოზებად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა უპირველესი ყურადღება მიაპყრო კვლევის მეთოდოლოგიურ მხარეს. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, რეალობაზე დაყრდნობა, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების უფრო სრული გათვალისწინება და გაშუქება. სამეცნიერო დაწესებულებები უფრო მოქნილად და ოპერატიულად უნდა ეურიდნენ თავს ძალებს ყველაზე აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად, მარჯვედ იყენებდნენ მეცნიერული ძიების ნაცად მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას. ზრუნავდნენ მისი მსოფლმხედველობითი სიზუსტისათვის.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციაა ახალი ადამიანის აღზრდა, საბჭოთა მშრომელებისათვის კომუნისტური მრწამსის, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. საზოგადოებათმცოდნენი მოწოდებული არიან თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა. საზოგადოებათმცოდნე სპეციალისტთა თითქმის 80 პროცენტი მუშაობს უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე. ეს დიდი ძალაა. მაგრამ ჯერ კიდევ ვხედავთ მასწავლებლებს, რომლებიც ლექციებს კითხულობენ სიძველისაგან გაყვითლებული კონსპექტებით, გვერდს უვლიან მწვავე საკითხებს. საჭიროა ავამაღლოთ საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების იდეური ზემოქმედება უმაღლეს სასწავლებლებში, ვიღაცოწოთ საზოგადოებათმცოდნეთა კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა პოტენციალის მაქსიმალურად სრული და ეფექტიანი გამოყენება — ეს მარტოოდენ სწავლულთა და სამეცნიერო დაწესებულებათა საქმე როდია. მას მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, ჩაებან საზოგადოებათმცოდნენი რეგიონებისა და დარგების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, დანერგონ მეცნიერების რეკომენდაციები, განამტკიცონ კვლევის მატერიალური ბაზა. მრავლად გვაქვს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამეგობრობის მაგალითები — ერთობლივად მუშაობენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებათმცოდნენი და ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელები, ჩრდილოეთ კავკასიის უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ცენტრის სწავლულები და როსტოვის ოლქის პარტიული კომიტეტები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ინსტიტუტები და ნოვოსიბირსკის ინსტიტუტები. საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ეს საგულისხმო გამოცდილება.

პარტიას მიაჩნია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს იდეურ-თეორიული მუშაობის ახალი, გაცილებით უფრო მაღალი დონე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებებისა და ცალ-ცალკე თითოეული მეცნიერის საქმიანობაში აუცილებელია მტკიცე შემობრუნება რეალური პრაქტიკული ამოცანებისაკენ, ახალი პრობლემებისაკენ, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. და საზოგადოებრივი მეცნიერებანი მოწოდებული არიან ეფექტიან თანაშემწეებად ედგნენ ხალხს, პარტიას მათს გადაწყვეტაში.

ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

ლენინგრადის მადლიანი მზე

ლენინგრადი, 24 ივნისი. (საქინფორმის სპეც. კორ. მ. გაბრიაძე, ო. სერდობოლსკი). განუმეორებელ თეთრ ღამეებს დაემთხვა წელს მეგობრობისა და ძმობის შესანიშნავი დღესასწაული — საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები რუსეთის ფედერაციაში.

დილას მოსკოვის ვაგზლის ბაქანს მოეფინა საზეიმო მელოდია „დიდი ქალაქის სადდებელი“ — ლენინგრადის მუსიკალური ემბლემა. ასე შეხვდნენ ლენინგრადელები — ხელოვნების ოსტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე. დელეგაციასთან ერთად დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ი. თ. ობრაზცოვი.

ბაქანზე გულთბილი შეგობრული შეხვედრა გაიმართა. სტუმრებს მიესალმნენ სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ტ. ი. ედანოვა, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. ელისეევა, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლები.

სახლი, სადაც საბჭოთა ხელისუფლება იშვა

საქართველოს დელეგაცია მიიწვიეს პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტში, რომელსაც სმოლნის ისტორიულ შენობაში დაუდგა ბინა. სმოლნის ფასადის წინ დიდი ლენინის ძეგლია აღმართული, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ძეგლი.

გაიმართა დელეგაციის წევრთა მეგობრული შეხვედრა სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ი. თ. სოლოვიოვთან. მან სტუმრებს უამბო, თუ როგორ აზორციელებენ ლენინის ქალაქის მშრომელები პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს წარგზავნილებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტი და მემორიალური ოთახი სმოლნში, სააქტო დარბაზი, სადაც ცხრაას ჩვიდმეტის ოქტომბერში სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობაზე ვლადიმერ ილიას ძემ მსოფლიოს პირველი დამცველებმა შეაჩერეს, შემდეგკი გაანადგურეს ფაშისტები დიდი ოქტომბრის ქალაქის გალავანთან. ლენინგრადელნი უწმინდეს ადგილად თვლიან პისკარიოვკის მემორიალურ სასაფლაოს. აქ გრანიტის ლოდებქვაშ წვანან ბლოკადის წლებში დაღუპული მეომრები და ლენინგრადელები — ის ადამიანები, რომელთა თავდადებაც (მირობის განსახიერება გახდა. მრისხანე განსაცდელის ჟამს ლენინგრადელთა დასახმარებლად აღდგა მთელი ქვეყანა, მის დამცველთა შორის იყვნენ ქართველი მამულიშვილებიც. ძმათა სასაფლაოს მწვანე ბორცვებზე, სადაც ნახუვარ მილიონამდე საბჭოთა მოქალაქე განისვენებს, გიზგიზებს მარადიული ცეცხლი. არემარეს ეფინება სევდიანი ჰანგები, შრიალებს არყის ხის ფოთლები.

დელეგაციის წევრებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმათ ნათელ ხსოვნას, ვინც დიდი სამამულო ომის წლებში თავი გასწირა მომავალ თაობათა ბედნიერებისათვის. საქართველოს წარგზავნილებმა (გვირგვინით შეამკეს დედასამშობლოს მონუმენტი.

საქართველოს დიდი ეკრანი

დღისით გრძელი რიგი დადგა კინოთეატრ „კოლიზეუმის“. სალაროსთან. ლენინგრადის ცენტრში, ნევის პროსპექტზე საზეიმოდ გაიხსნა ქართველ კინოსტატთა ახალი ნამუშევრების ფესტივალი. კიდევ ერთი სასიამოვნო მოგზაურობა შეასრულა ლენინგრადში ფილმმა „კუკარაჩამ“, რომელიც ლენინური პრემიის ლაურეატის ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით არის შექმნილი. მისში ამ ლენტის შემოქმედებითმა კოლექტივს ლიტერატურული ნაწარმოების საუკეთესო ეკრანიზაციისათვის სპეციალური პრიზი მიენიჭა ნევისპირა ქალაქში მიმდინარე XVI საკავშირო კინოფესტივალზე. რეჟისორების სიკო და ქეთი დოლიძეების ფილმმა სამართლიანად გახსნა ახლანდელი სადღესასწაულო კინოჩვენებაც.

— როგორც კინოგაქირავების საქმეში ჩახედულ კაცს, შეიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო: ქართულ ფილმებს რეკლამა არ სჭირდება, — თქვა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსმა, კინოდრამატურგმა არნოლ ვიტოლმა. — შესანიშნავი ქართული კინემატოგრაფის აყვავებას მოწმობს ბისი ისეთი სურათების საერთაშორისო წარმატება, როგორიც არის „ჯარისკაცის მამა“, „შშობლიურო ჩემო მიწავ“, „რამდენნიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ნატვრის ხე“ „ფიროსმანი“, „შეიკალები“... როცა ძმობის ამ დღესასწაულისათვის ვემზადებოდით, ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, რათა ლენინგრადელებს ენახათ უკანასკნელი წლების ეს საუკეთესო ლენტებიც.

კინემატოგრაფის ტებს ამ დღესასწაულზე ბევრი სამუშაო აქვთ. მისი ძირითადი მოვლენები შეადგენენ მომავალი კინოფილმის შინაარსს, რომელზეც ლენინგრადელი კინოდოკუმენტალისტები მუშაობენ.

ნევისპირა ქალაქის ბედი ათასობით უხილავი ძაფით უკავშირდება საქართველოს სვე-ბედს — ამის დასტურია ისტორიაც და ჩვენი - დღევანდელობაც. სწორედ აქ, პეტერბურგში დაიბეჭდა 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელმაც სამხეკავშირეო ხელშეკრულების სამართლებრივი

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: საქართველოს დელეგაცია პისკარიოვკის მემორიალურ სასაფლაოზე.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმი).

რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია

24 ივნისს მოკავში, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს: ი. ვ. ანდროპოვს, ჰ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, გ. ვ. რომანოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაბატინოვს, ნ. ი. რიჟკოვს.

დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი.

სესიაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დეპუტატი მ. ს. გორბაჩოვი, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით შეიტანა წინადადება გაათავისუფლონ მ. ს. სოლომენცევი რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ მის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ამასთან სესიის განსახილველად სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით შეიტანეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს მიერ მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ი. ვოროტნიკოვის დანიშვნის შესახებ.

რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ საკითხზე. შემდეგ მოხსენება რუსეთის სფსრ რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას, ხარისხის ამაღლებას და მისი ვაჭრობის გაუმჯობესებას პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, გააკეთა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. თ. კარპოვამ.

განიხილა რა რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას, ხარისხის ამაღლებას და მისი ვაჭრობის გაუმჯობესებას, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ამ საკითხზე მიიღო დადგენილება.

სესიაზე მოისმინეს მოხსენება რუსეთის სფსრ რესპუბლიკის საბინაო კოდექსის პროექტის შესახებ, რომელიც გააკეთა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის თავმჯდომარემ ი. ნ. პონომარიოვმა.

განხილვის შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის საბინაო კოდექსი.

სესიამ დაამტკიცა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

(საკდესი).

შრომითი ცხოვრების საგზურები

არსებითად ორ-ორი ატესტატი მიიღეს ქალაშვილებმა და ჭაბუკებმა, რომლებმაც რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს. ეს არის საშუალო განათლების საბუთი და მუშური სიმწიფის ატესტატი. ახლა საქართველოში მოქმედებენ მხოლოდ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და ტექნიკური სასწავლებლები. ისინი მუშურ ცელას ამზადებენ ათობით თანამედროვე სპეციალობაში.

ეს ფაქტები მოიყვანეს 23 ივნისს თბილისში გამართულ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის კურსდამთავრებულთა მეათე რესპუბლიკურ მეკრებაზე. შეკრების დევიზია „საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშათა კლასს — ღირსეული შევსება“.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ასობით საუკეთესო კურსდამთავრებული, მათი მასწავლებლები, მუშა-დამრიგებლები. შეკრების პრეზიდიუმში იყვნენ პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოების და მეურნეობების ხელმძღვანელები, შრომის ვეტერანები და მოწინავენი, მოსკოვის, ლენინგრადის, ლატვიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და სვერდლოვსკის პროფტექგანათლების სისტემის წარმომადგენლები.

შეკრება გახსნა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რიგგავამ.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. დარბაზში შემოაქვთ სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც რესპუბლიკური კომიტეტი ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოდა მუშათა ცვლის მომზადებაში წარმატებებისათვის.

შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება შეკრების მონაწილეებისადმი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგემ ა. საყვარელიძემ.

საბჭოთა მუშათა კლასის მრავალმილიონიან არმიას, ნათქვამია მისალმებაში, დღეს ემატება 40 ათასი ქალაშვილი და ჭაბუკი, რომლებმაც შრომითი ცხოვრების საგზურები მიიღეს. პროფესიულ ცოდნასთან და ნაყოფიერ შრომასთან ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების შეერთება ხელშემწყობი ნიადაგია კვალიფიციურ მშრომელთა, ადამიანთა აღზრდისათვის, რომლებიც იქნებიან არა მარტო გარკვეული ცოდნის მატარებლები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის კურსდამთავრებულთა მეათე რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა დადეს საჯარო ფიცი, რომ დაიცავენ მუშა კაცის ღირსებასა და პატიოსნებას, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და შრომას მოახმარენ სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ტ. როსტაშვილი და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ყვანია.

(საქინფორმი).

ისევ თქვენი და სეზონი

ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე სამხრეთ ოსეთში კვლავ კოკისპირული წვიმა და სეტყვა იყო, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ლენინგორის რაიონის მეურნეობებს. ზაქორის, კორინთის, ლენინგორის საბჭოთა მეურნეობებში საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების ნათესები მთლიანად განადგურდა 400 ჰექტარ ფართობზე, სათოხნი და ბოლჩეული კულტურები — 70 ჰექტარზე. წაწყდა 400 ჰექტარი საკვები კულტურები, აგრეთვე ვენახები და ხეხილის ბაღები. სეროიზულად დაზიანდა მეცხოველეობის ფერმები, ბაკები, 8-წლიანი სკოლების შენობები.

გრიგალმა სახურავები, ახადა სახლებს. მწყობრიდან გამოვიდა 10 კილომეტრი გზა, ხიდები.

ზორაელდება სტიქიურ უბედურების შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციის ღონისძიებები. დაზიანებულ საცხოვრებელ სახლებთან და საზოგადოების შენობებთან უკვე მიტანილია საშენი მასალა.

ეწყობა აგროტექნიკურ ღონისძიებათა საჭირო კომპლექსი. ბაღებში, ვენახებში მიმდინარეობს სამინდის, ბაღჩეულის და საკვები კულტურების ხელმეორედ თესვა. (საქინფორმი).

შეხვედრა პრეზიდენტთან

ლისაბონი, 25 ივნისი. (საკდესი). პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, გენერალმა რამალიუ ეანეშმა დღეს ბელგიის სასახლეში მიიღო პორტუგალიის კომპარტიის მონაწილეთა ჩამოსული სკკპ დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ა. შევარდნაძე.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის ურთიერთობისა და საერთაშორისო ვითარების საკითხებზე.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პორტუგალიის რესპუბლიკაში ვ. პ. ვდოვინი.

მიზანი: თანამშრომლობის განვითარება

24 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ქართველიშვილმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის ბანკის ხელმძღვანელი მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე ი. სტეისკალი. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სსრ კავშირის სახბანკის მოწვევით მუშაობის გამოცდილების გაზიარებისა და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით.

ამხ. ქართველიშვილი გულითადად მიესალმა მოძმე ქვეყნის ბანკის მუშაკთა დელეგაციას და ილაპარაკა საქართველოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, იმ დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესახებ, რომლებიც რესპუბლიკის, კერძოდ, მისი სბანკო დაწესებულებების წინაშე დგას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში, აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სბანკო დაწესებულებათა თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას მათი ეკონომიკური პოტენციალის გადიდებაში.

ჩეხოსლოვაკიის ბანკის მუშაკთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ი. სტეისკალმა მხურვალე მადლობა გადაიხადა გულთბილი და გულითადი მასპინძლობისათვის. იგი შეეხო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახბანკის და მისი რეგიონალური დაწესებულებების საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მისი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებაში.

საუბარის დროს მისმა მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის ახალ საშვიდობო ინიციატივებს, ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა პრაღაში მიმდინარე მსოფლიო ასამბლეას „მშვიდობისა და სიცოცხლისათ

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი!

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ჩვენს რედაქციას ეწვია. მრგვალ მაგიდასთან საუბრის დროს, სადაც სტუმრები და მასპინძლები პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობის არაერთ საკვანძო საკითხს შეეხნენ, გადაწყდა, რომ ისინი თავიანთ რესპუბლიკებსა და ოლქებში დაბრუნების შემდეგ „კომუნისტის“ რედაქციას მოსწერდნენ იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც პარტიული მუშაობის სხვადასხვა სფეროში შეიძინეს.

პირველი წერილი რედაქციამ მიიღო — დღეს თურქმენეთის კომპარტიის კრასნოვოდსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. მიტრინი „კომუნისტის“ მკითხველს ესაუბრება, იმ გამოცდილებაზე, რომელიც ოლქის პარტიულმა ორგანიზაციამ შეიძინა მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმების და კონტროლის სისტემაში.

(დასასრული)

შესრულების კონტროლისა და შემოწმების მნიშვნელობაზე დღეს უკვე აღარც ვლაპარაკობთ. საკმარისია თუნდაც მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ვ. ი. ლენინი მას მთელი მუშაობის საფუძველთა საფუძვლად მიიჩნევდა.

დიდი ბელადის მიერ შემუშავებული შესრულების შემოწმების და კონტროლის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები — მასობრივობა, ქმედითობა, საჯაროობა, როგორც ცნობილია, შემოქმედებითად განვითარდა სკკპ დოკუმენტებში, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა გამოსვლებში. ეს პრინციპები, როგორც ჩვენი პარტიის ორგანიზატორული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების, აპარატის ყველა რგოლში ორგანიზებულობის და დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისადმი კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების ნაცადი საშუალებაა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში, კომუნისტური მშენებლობის მასშტაბისა და სირთულის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნები შესრულების შემოწმებისა და კონტროლისადმი. და როგორც „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამის „კონტროლისა და შესრულების შემოწმების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის დადგენილებაშია აღნიშნული, მუშაობა ამ მიმართულებით ყოველთვის სრულად არ შეესაბამება დასახულ ამოცანებს, რომ შესრულების შემოწმება ჯერ კიდევ ვიწრო ადგილად რჩება ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში.

ამოცანათა იმ კომპლექსიდან, რომლებიც ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტშია აღძრული, მინდა ერთ-ერთ საკითხზე, ანუ ოპერატიულ-ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, სხვადასხვა მონაცემებს მიმდინარე საწარმოო მდგომარეობის, მისი პერსპექტივის შესახებ და ა. შ. მთელი ეს მასალები, მზამზარეული რეკომენდაციები და დასკვნები კი არ იყო, არამედ იძლეოდა მხოლოდ ამგვარი დასკვნების გამოტანის, პარტიული კომიტეტის მოღვაწეობისათვის განზოგადებული შეფასების მიცემის, ამ საქმიანობის გაუმჯობესების გზების დასახვის გარკვეულ შესაძლებლობას.

„თამაშის“ თითოეული მონაწილის მიერ ცნობარის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციების, დასახული ორგანიზაციული ღონისძიებების სისწორე, როგორც ეტალონისათვის, უნდა შეგვდარებინა საწარმოო გაერთიანება „ყარაბოგაზსულფატის“ პარტიული კომიტეტის საქმიანობის შესახებ საოლქო კომიტეტის ზემოხსენებულ დადგენილებასთან, რადგანაც, როგორც დრმა გვიჩვენა, ეს დადგენილება კოლექტივისათვის თვალსაჩინო დადებითი შედეგების მიღწევის ნაღდ საშუალებად იქცა.

რასაკვირველია, არც ერთი მუშაკისთვის არ გვითქვამს, კონკრეტულად რომელი დოკუმენტის საფუძველზე მიმდინარეობდა საწარმოში თამაში. მათ იმის საშუალებაც კი მიეცათ, რომ სურვილისამებრ თავიანთი ნაშრომისათვის ფსევდონიმი მოეწერათ, რათა საშუალება გვქონოდა საბოლოო შემაჯამებელ მეცადინეობაზე თითოეული გადაწყვეტილების პროექტში დამშვებული შეცდომები და უზუსტობები გამოწვლილვით გაგვანალიზებინა.

შესრულებულ სამუშაოთა ანალიტიკურმა გარჩევამ მკითხველთა სწავლების ამგვარი ფორმის მაღალეფექტიანობა გვიჩვენა. შემდგომში თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე დავამუშავეთ ტექსტი ოლქის ერთ-ერთ სამშენებლო ქვეგანაყოფში კადრებთან მუშაობის საკითხებზე და დავურიგეთ საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს. სასწავლო თამაშობანი კვლავაც გაგრძელდება და გვწამს, რომ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ.

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს — ეს არის მიღებულ დადგენილებათა რაოდენობა. ჩვენ ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ მათი რიცხვი, ყურაღღება გავამახვილოთ ძირითადად პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კარდინალურ საკითხებზე. საოლქო კომიტეტის მუშაობის ნახევარი წლის გეგმაში უკვე რამდენიმე წელია გათვალისწინებულია ექვსი, მაქსიმუმ, ცხრა ასეთი საკითხის განხილვა. თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პრობლემას ხანდახან კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით. და არა იმიტომ, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი უხარისხოდ იყო მომზადებული, მთავარი მიზეზი მათი შესრულებისადმი არადამაკმაყოფილებელი კონტროლია.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ამ მიმართულებით მრავალმხრივ უმჯობესდება. მაგალითად, კონტროლი დადგენილების „დახურვისადმი“. ბოლო წლებში განყოფილებები ქრონოლოგიური წესით უპასუხებენ კონტროლიდან მოხსნილი დადგენილების ყველა პუნქტზე, ამასთან საერთო განყოფილება ამოწმებს, თუ რამდენად სრულყოფილად არის შესრულებული იგი. განყოფილების დასკვნები, თუ რამდენად მიზანშეწონილია დადგენილ ებ ის კონტროლიდან მოხსნა, აუცილებლად უთანხმდება განყოფილების კურატორ საოლქო კომიტეტის მდივანს. მხოლოდ ამის შემდეგ, სამი პასუხისმგებელი მუშაკის მიერ ხელმოწერილი ცნობის საფუძველზე საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ხსნის დადგენილებას კონტროლიდ ან ანდა იგი საკითხის გადაწყვეტისათვის შეაქვთ თურქმენეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროში ან სამდივნოში.

ჩვენ ვცდილობთ პრაქტიკულად განვახორციელოთ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე: „წესად უნდა გავიხადოთ ის, რომ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას ერთსა და იმავე საკითხზე ვიღებდეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულებულია წინანდელი გადაწყვეტილებანი, ანდა წარმოიშვა რაიმე ახალი გარემოებანი. საჭიროა უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ პარტიული, სახელმწიფო და წარმოს დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს“.

რა ღონისძიებებს ვახორციელებთ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მათი ქმედითობის ამაღლებისათვის? გავრცელებულ ფორმებთან ერთად უკვე რამდენიმე წელია გვაქვს საკუთარი მეთოდები, რომელთა საშუალებით ვაღწევთ ამ მუშაობის ოპერატიულობას და გეგმაზომიერებას, აგრეთვე მასში ფართო პარტიული აქტივის მონაწილეობას.

ერთ-ერთი ასეთი ფორმათაგანია მიღებულ დადგენილებათა შესრულების კონტროლის კალენდარული გეგმა. 1977 წლის ოქტომბრიდან იგი დაინერგა პარტიულ კომიტეტებში, შემდეგ — საოლქო აღმასკომში, პროფსაბჭოში, კომკავშირის საოლქო კომიტეტსა და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე საქალაქო და რაიონული რგოლის დონეზე. რას წარმოადგენს ეს გეგმა კონკრეტულად? ეს არის 60 სანტიმეტრი სიგანის და 40 სანტიმეტრი სიგრძის ქაღალდის ფურცელი. ზემოთ, მარცხნივ ფურცლის ნახევარი უჭირავს მიმდინარე წლის, ხოლო მარჯვენა მხარე — მომავალი წლის კალენდარს. კალენდრების სწორკუთხა ბადისებრი კვადრატების ზედა ნაწილში ჩამოწერილია რიცხვები 1-დან 31-მდე (თვის დღეები), ხოლო მარცხენა მხარეს — თვეები იანვრიდან დეკემბრამდე. ქაღალდის ქვედა ნაწილი უკავია აგრეთვე ორ სწორკუთხედს, რომელთაგან თითოეული სამ-სამ სვეტად არის დაყოფილი და ამრიგად ქმნის 90 გრაფას. კვადრატების ზომები, გრაფების რაოდენობა, აგრეთვე ქაღალდის საერთო ზომები სურვილისამებრ შესაძლებელია შეიცვალოს.

რით არის მოსახერხებელი კალენდარული გეგმა? იგი საშუალებას იძლევა ვაკონტროლოთ ერთდროულად სულ ცოტა 90 დადგენილების შესრულება (მიმდინარე და საბოლოო) შესაბამისი ნიშნებით, გვქონდეს ოპერატიული თვალსაჩინო ინფორმაცია მათ შესახებ წლის ნებისმიერ დროს.

როგორ ვაღწევთ ამას? ჰორიზონტალურ გრაფაში ვწერთ ერთ-ერთ გასაკონტროლებელ დადგენილებას. ამ გრაფის აღმინშნველი ნომერი გამოიყენება ამ დოკუმენტის კოდად მისი კალენდრის მარცხენა კვადრატში შეტანისას: ლურჯი ფერით აღნიშნულია მიმდინარე, ხოლო წითლით — საბოლოო შესრულების კონკრეტული თარიღი. მეორე — მარჯვენა კალენდარი იგივე მიზანს ემსახურება და უზრუნველყოფს კონტროლის მუდმივობას.

დიდ მიღწევად მიგვაჩნია ამ ბოლო წლებში ორი უდიდესი საწარმოს — საწარმოო გაერთიანება „თურქმენნავთის“ და კრასნოვოდსკის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშაობაში მიღწეული გარდატეხა. მათ წილად მოდის ჩვენთან წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 70 პროცენტი. მათ მიერ წელს საწარმოო გეგმების შესრულება მთლიანად ოლქში საწარმოო გეგმების შესრულების საიმედო გარანტიაა. პარტიის საოლქო კომიტეტს მტკიცე კონტროლი აქვს დაწესებული დადგენილებების სხვა აქტუალურ პრობლემებზე.

ჩვენს შემდგომ საქმიანობაში, რომელსაც სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის და ნოემბრის პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად წარვმართავთ, მთავარ ამოცანად ვისახავთ კონტროლის და პრაქტიკული საქმიანობის ორგანული ერთიანობის მიღწევას პარტიის და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის. ამისათვის კი საჭიროა შესრულების შემოწმება და კონტროლი პარტიული და სახელმწიფო აპარატის ნებისმიერი რგოლის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად იქცეს. მისი ქმედითობის განუხრელი ამაღლება პარტიული მუშაობის, მისი სტილის სრულყოფის ძირითადი წყაროა.

ე. მიტრინი,
თურქმენეთის კომპარტიის კრასნოვოდსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

„ხალხის სულის წარმომჩენი ხელოვნება“

მრავალხმოვანი მუსიკით, ძველთაძველი ქართული საგალობლებით შეხვდნენ დღეს დამთვალიერებლებს სსრ კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილ ვერნისაჟზე. ამ უდიდესი საცავის დარბაზებში, სადაც ჩვენი ქვეყნის ასზე მეტი ეროვნების წარმომადგენელთა კულტურის ძეგლებია დაცული, გაიხსნა „გამოფენა „ქართული ხალხური და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნება“. ეს რუსეთში მომდინარე საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენაა.

ხუთასზე მეტი ექსპონატი ქმნის ერთგვარ თვალწარმტაც სამყაროს — ქართველი ერის პოეტური და შთაგონებული სულის სამყაროს. ბევრი ნამუშევარი, რომელთა შორის არის უნიკალური ნაკეთობანი, საკავშირო და საზღვარგარეთული გამოფენების პრიზებითა და ჯილდოებით აღინიშნა. საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული კუთხეა წარმოდგენილი გამოფენაზე საუკეთესო ოსტატთა შემოქმედებით. აქ არის ხელით ნაქსოვი ხალიჩების ნიმუშები, ოქრომჭედლობის ნაკეთობანი და პანოები, ფერადი მინის, კერამიკის, ვერცხლის, ხის ნაწარმი, მცირე ფორმების ქანდაკება.

ვერნისაჟზე მოსული მაყურებლების გრძნობები გამოხატა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა, რუსეთის ფედერაციის ლენინგრადის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახმატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა იური ლოხვინინმა.

ყოველ ხალხს, — თქვა მან, — აქვს თავისი საიდუმლო ხელოვნებაში, და აი, დღეს მე კვლავ დავიწყებულ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, როცა ქართველ ოსტატთა და ხელმარჯვეთა გასაოცარ ექსპოზიციას გავეცანი. იგი ნათლად წარმოაჩენს ერის — შემოქმედი და მეომარი ერის სულს, რომელმაც საუკუნეებში გამოატარა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მე, მოქანდაკეს, განსაკუთრებით მახარებს ქართველი კოლეგების უდიდესი წარმატება პლასტიკის დარგში. სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლისა და საქართველოს სახალხო მხატვრის ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედება დღეს მთელი ჩვენი მრავალეროვანი ხელოვნების სიამაყეს და დიდებას შეადგენს.

დიდი ხნის ისტორია აქვს ლენინგრადისა და საქართველოს ყალმის და საკრეთელის ოსტატთა თანამეგობრობას. ეს ტრადიცია წლითიწლობით სულ უფრო ფართოვდება. ან ახლაც თბილისში ეწყობა ლენინგრადელი მხატვრის რაშდ დამინოვის გამოფენა, ხოლო მისი თბილისელი კოლეგა საქართველოს დამსახურებული მხატვარი ვახტანგ ადვაძე აგვისტოში წარმოუდგენს თავის ნამუშევრებს ლენინგრადელებს.

ვერნისაჟზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე.

„ოქტომბრის“ დარბაზი ტაშს უკრავს

ლენინგრადში საქართველოს ხელოვნების ოსტატები ფაქტობრივად ორი დღესასწაულის მონაწილენი გახდნენ. მათი გამოსვლები შეტანილია „თეთრი ღამეების“ საკავშირო ფესტივალის პროგრამაში. ამ ტრადიციულ დათვალიერებაში, რომელიც მეოცედ ეწყობა, წელს გამოდიან ქვეყნის ექვსი რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარბაზი — „ოქტომბრის“ საკონცერტო დარბაზი დაეთმო სახელმოხვეჭილ კოლექტივს, საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

სადღესასწაულო კონცერტი წვეთი წყალივით გამოსახავდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მთელ სიმდიდრეს. დარბაზში ხშირად გრიალებდა ტაში — მაყურებლები ღირსეულად აფასებდნენ ანსამბლის სოლისტთა შთამბეჭდავ ხელოვნებას.

ეს კონცერტი ნამდვილი თვალი გახდა „თეთრი ღამეების“ ფესტივალისა, რომელსაც ესწრებიან ევროპის, აზიისა და ამერიკის თხუთმეტი ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები. ბეგრმა მათგანმა ეს საღამო „ოქტომბრის“ დარბაზში გაატარა და საბჭოთა მაყურებლებთან ერთად გაიზიარა ქართველ მსახიობთა შესანიშნავ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარული.

სურათებზე: კინოთეატრ „კოლიზეუმთან“ ლენინგრადის ნევის პროსპექტზე, სადაც ქართულ ფილმებს უჩვენებენ; საქართველოს მხატვრებისა და ხალხური ოსტატების გამოფენებითი და დეკორატიული ხელოვნების გამოფენის გახსნა სსრ კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმში.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმი).

ენდე, მაგრამ მაინც შეამოწმე!

გამოცდილება

ჩვენი საოლქო პარტიული ორგანიზაციის მაგალითზე გამოცდილება და ჩვენი საქმიანობის შემდგომი გეგმები გაგიზიაროთ ერთი თვალსაზრისით — ეს გახლავთ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის გაუმჯობესება.

ჯერ ოთხეულიც სიტყვა პარტიული დოკუმენტების მომზადების თაობაზე, რამდენადაც ამ მომენტზე ბევრად არის დამოკიდებული შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ქმედითობა.

პარტიის საოლქო კომიტეტის პრაქტიკაში არის არაერთი მაგალითი იმისა, როდესაც კარგად მომზადებულ პარტიულ დოკუმენტს ეფექტიანი კონტროლის ორგანიზებისა და მისი შესრულების შემოწმების საშუალება მოუცია. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება, რომელიც სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საწარმოო კრებისათვის საკითხის მომმზადებელი კომისიის წევრთა არაკომპეტენტურობა, დაგროვილი მასალის განზოგადების, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავების არცოდნა და სხვ. განსაკუთრებით უჭირთ ჩვენს კადრებს, მეტადრე კი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელ მუშაკებს, დოკუმენტზე მუშაობის ბოლო - ეტაპი — დადგენილების პროექტის შედგენა, რომელსაც ხშირად ერუდიცია, შემოქმედებითი ძალისხმევა სჭირდება. ყველაზე მეტად ის გვაღელვებს, რომ ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უმეტესობა არ შეიცავს დასახულ ამოცანათა უზრუნველყოფ, საფუძვლიანად მოფიქრებულ, ნათლად ფორმულირებულ და კონკრეტული ადრესატისადმი მიმართულ ორგანიზაციულ ღონისძიებებს. ხშირად იგი პარტიული დოკუმენტისადმი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებს აც ვერ აკმაყოფილებს. როგორ უნდა დავეხმაროთ პარტიულ მუშაკებს ასეთ შემთხვევებში?

პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა ამ მიმართულებით მრავალმხრივად მუშაობს. ამა თუ იმ დოკუმენტში არსებული ხარვეზების ინსტრუქტორთან, განყოფილების გამგესთან ერთად ინდივიდუალურად გარჩევის პარალელურად ახალბედებს პრაქტიკულად ვუჩვენებთ გადამუშავებულ პროექტებს, ვასწავლით მათი შედგენის ძირითად წესებს და ა. შ.

ყოველივე ეს იძლევა ეფექტს, მაგრამ, როგორც ჩანს, არასაკმარისს. სათანადო ეფექტის მისაღწევად, ჩემი აზრით, სწავლებს უფრო აქტიურ ფორმებზე გადასვლაა საჭირო. ესე იგი ზემოთ მოყვანილ ფორმებთან ერთად პარტიული აპარატის ყველა პასუხისმგებელ მუშაკს შესაძლებლობა ეძლევა დოკუმენტების შემუშავებაში მიზანმიმართულად, შემოქმედებითად მიიღოს მონაწილეობა. ამას ასე ვაღწევთ: ერთ-ერთ პრაქტიკულ მეცადინეობაზე პარტიის საოლქო, კრასნოვოდსკის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაკებს დაურიგდათ დაწვრილებითი ცნობარი ერთ-ერთ პირობით სამრეწველო საწარმოში საქმის მდგომარეობის შესახებ. იგი შეიცავდა პარტიული კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ზედმიწევნით ანალიზს, მონაცემებს სამეურნეო ხელმძღვანელობის, პროფკავშირულ ი, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ნიმუშები, ოქრომჭედლობის ნაკეთობანი და პანოები, ფერადი მინის, კერამიკის, ვერცხლის, ხის ნაწარმი, მცირე ფორმების ქანდაკება.

ვერნისაჟზე მოსული მაყურებლების გრძნობები გამოხატა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა, რუსეთის ფედერაციის ლენინგრადის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახმატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა იური ლოხვინინმა.

ყოველ ხალხს, — თქვა მან, — აქვს თავისი საიდუმლო ხელოვნებაში, და აი, დღეს მე კვლავ დავიწყებულ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, როცა ქართველ ოსტატთა და ხელმარჯვეთა გასაოცარ ექსპოზიციას გავეცანი. იგი ნათლად წარმოაჩენს ერის — შემოქმედი და მეომარი ერის სულს, რომელმაც საუკუნეებში გამოატარა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მე, მოქანდაკეს, განსაკუთრებით მახარებს ქართველი კოლეგების უდიდესი წარმატება პლასტიკის დარგში. სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლისა და საქართველოს სახალხო მხატვრის ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედება დღეს მთელი ჩვენი მრავალეროვანი ხელოვნების სიამაყეს და დიდებას შეადგენს.

დიდი ხნის ისტორია აქვს ლენინგრადისა და საქართველოს ყალმის და საკრეთელის ოსტატთა თანამეგობრობას. ეს ტრადიცია წლითიწლობით სულ უფრო ფართოვდება. ან ახლაც თბილისში ეწყობა ლენინგრადელი მხატვრის რაშდ დამინოვის გამოფენა, ხოლო მისი თბილისელი კოლეგა საქართველოს დამსახურებული მხატვარი ვახტანგ ადვაძე აგვისტოში წარმოუდგენს თავის ნამუშევრებს ლენინგრადელებს.

ვერნისაჟზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე.

ლენინგრადის მადლიანი მზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა ურალის მიწა-წყალზე

სვერდლოვსკი. (საქინფორმის სპეც. კორ. ი. გოლდმანი). სვერდლოვსკელები დღეს გულთბილად შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციას — სვერდლოვსკსა და მის ოლქში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, არიან თვალსაჩინო მწერლები და მხატვრები, თეატრისა და კინოს ჰიპულარული მსახიობები, საქართველოს ცნობილი შემოქმედებითი კოლექტივები.

სვერდლოვსკი შემთხვევით კი არ არის ერთი იმ ხუთ ქალაქთაგანი, სადაც მიმდინარეობს ქართული კულტურის დიდი და მკაფიო დღესასწაული: ურალის დედაქალაქისა და თბილისის მშრომელები უკვე დიდი ხანია მეგობრობენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან, ხოლო ორი ქალაქის ხელოვნების მოღვაწეთა მეგობრობა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. თეატრების სცენაზე მრავალჯერ დადგმულა ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებები, აღღერდა ქართველ კომპოზიტორთა მუსიკა, სვერდლოვსკის საკონცერტო ესტრადაზე გამოდიოდნენ ქართველი მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავენი.

საინტერესო ფაქტი: ქვეყანაში ცნობილმა სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრმა თავის დაარსების ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში პირველი გასტროლები დაიწყო თბილისში თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ.

დღესაც ადგილობრივი თეატრების რეპერტუარშია ქართველ ავტორთა ბევრი ნაწარმოები. სვერდლოვსკის დრამის აკადემიურ თეატრში წარმატებით დგამენ ა. ცაგარლის „ხანუმას“ და ა. ჩხაიძის „ჩინარის მანიფესტს“, მუსიკალური კომედიის თეატრში უჩვენებენ გ. ცაბაძის „აგაბოს ოჯახს“, მოზარდ მაყურებელთა თეატრში — „მამაცი კიკილოს ზღაპარს“ (გ. ნახუცრიშვილის „ნაკარქექიას“ მიხედვით). სხვათა შორის, ეს დადგმა განაზორციელა თბილისიდან ჩამოსულმა დასმა თბილისის რუსული მოზარდ-მაყურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორის თ. აბაშიძის ხელმძღვანელობით. საოპერო ხელოვნების მოყვარულები ისმენენ ო. თაქთაქიშვილის ოპერას „პირველი სიყვარული“, რომელიც დაიდგა სვერდლოვსკის ლუნაჩარსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. საქართველოს დღეების დროს მასში მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ლ. კალმახელიძე და ე. გეწაძე.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები სვერდლოვსკელებს მრავალ მკაფიო შთაბეჭდილებას პირდება. ისინი ნახავენ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „რუსთავისა“ და „აჟარის“ ცეკვლოვან ხელოვნებას, დაესწრებიან საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტს, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ისაკაძე, შეხვდებიან საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს ს. ჭიაურელს, ვ. კიკაბიძეს, კ. მაზარაძეს, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებს, რომელთა შორის არის სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი და ა. შ.

სვერდლოვსკის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრ „როდინაში“ გამართება შეხვედრა ქართველ კინემატოგრაფისტთა კოლექტივთან, რომელიც შექმნა მხატვრული ფილმი „კუკარაჩა“. საქალაქო სურათების გალერეაში გაიხსნება საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ზ. ნიკარაძის ნაწარმოებთა გამოფენა...

... „კოლცოვოს“ აეროპორტი სადღესასწაულოდაა მორთული. აეროვაგზლის შენობაზე გაკრულია ტრანსპარანტი: „სვერდლოვსკის მშრომელები მიესალმებიან რუსეთის, სფს რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს“. საქართველოდან ჩამოსულ დელეგაციას ხვდებიან სვერდლოვსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, სვერდლოვსკსა და მის ოლქში საქართველოს სს რესპუბლიკის დღეების მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. შკრუმნევი, პარტიის სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კადორჩინოკოი, ოლქის შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, საოლქო და საქალაქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დამხვდურთა შორის იყვნენ ქალაქ სვერდლოვსკის კიროვის რაიონის წარმომადგენლები, რომელ ი ც შეჯიბრებაშია ჩაბმული ქალაქ თბილისის კიროვის რაიონთან.

...თვითმფრინავი აეროპორტის შენობის წინ ჩერდება. კიბეზე ჩამოდიან საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. ო. ჩერქეზია, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ი. მელენტიევი, რომელიც დღეების გახსნაზე ჩამოვიდა სვერდლოვსკში, საქართველოს დელეგაციის წევრები.

შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ სტუმრებს. პიონერებმა მიართვეს ყვავილები. ავტომობილებს კორტეჟი ქალაქში მიემართება.

მეგობრობა გზად და ხიდად

ვლადიმირი. 25 ივნისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). მაინც, რა კარგია, როცა ადამიანები ერთმანეთს უღიმიან, ძმებსავით ელტვიან ერთმანეთს. სწორედ ასეთი ატმოსფერო სუფევდა 24 ივნისს ვლადიმირის ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის საოლქო დრამის თეატრში საქართველოს ხელოვნების ოსტატთა საზეიმო კონცერტზე.

კონცერტს, რომელსაც დაესწრნენ სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ა. პოხომარიოვი, ვლადიმირის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. გ. ანიკინი, ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, დიდი წარმატება ჰქონდა. მაყურებელი მოხიბლა სამხრეთ ოსეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „სიმდმა“.

დარბაზი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან თბილისის ოპერის სოლისტს პაატა ბურჭულაძეს. სიტყვამ მოიტანა და, იგი ვლადიმირიდან ლონდონს მიემგზავრება გასტროლებზე. „ბისზე“ იძახებდნენ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ვოკალურ ჯგუფს (ხელმძღვანელი — გურამ ბაქრაძე), რომელმაც უკრაინული ხალხური სიმღერა, ჩვენებური „სულიკო“ და სხვა სიმღერები შეასრულა. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს თბილისის ოპერის თეატრის მომღერლებს თამაზ ლაფერაშვილს და მედეა ნამორაძეს, ვოკალურ-საინსტრუმენტო ანსამბლ „ვია-75“-ს.

ამ დღეს ჩვენი მსახიობების გამოსვლებში მაღალი შთაგონება იგრძნობოდა. კონცერტის წინ მათ დაძახებული „სამუშაო“ დღე ჰქონდათ — ისინი იყვნენ ქალაქის ბევრ შრომითს კოლექტივში.

თვალნათლივ დავრწმუნდით, რაოდენ დაძაბული შრომითი რიტმი სუფევს ვლადიმირის საწარმოებში, თქვა პ. ბურჭულაძემ. და ის ადამიანებიც, რომლებიც საღამოს კონცერტზე მოვიდნენ დასასვენებლად, უდავოდ იყვნენ იმის ღირსნი, რომ საქართველოს ხელოვნება მთელი თავისი მშვენებით წარმსდგარიყო მის წინაშე.

ვლადიმირის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სატრაქტორო ქარხნის გაერთიანებაში ღირსსახსოვარი შეხვედრა მოხდა. საქართველოს დელეგაციის წევრებს მეესალმა მხეხავი ტაისია გოლოვაშკინა, მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ადამიანი. იგი სანიმუშოდ უვლის მიჩნეულ მოწყობილობას, უარი თქვა შემკეთებელი ზეინკლებისა და გამმართველების მომსახურებაზე — თავად ასრულებს მათს ფუნქციებს. ეს სულ არ არის ძნელი, — თქვა ტ. გოლოვაშკინამ. — სამუშაო ადგილზე წესრიგის დამყარებას კაპიტალური დაბანდება არ სჭირდება, ეფექტი კი უდიდესია. წლის დამდეგიდან სამუშაო და კაპიტალურ რემონტზე ტ. გოლოვაშკინამ, რომელსაც ახლა ოლქში ათასობით მომდევარი ჰყავს, საწარმოს

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲜᲘᲚᲘ სურვილი ნამდვილად ყველა ადამიანს აქვს. ჟურნალისტებს კი მოგზაურობის გზნება შესისხლხორცებული გვაქვს. მგზავრობა თავისებური რამ არ არის. გზაში შეხვედრები, აზრები და გრძნობები დროსტარება როდია. ერთმანეთთან ურთიერთობის სიდიადე, გზაში დროის შეგრძნობა, — როგორც ანტუან ეგზიუპერიმ თქვა, — ამქვეყნად ყველაფერზე უფრო მშვენიერია.

ამას წინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გახლდით. ცხადია, ქვეყანა, ჩვენ, როგორც ამბობენ ხოლმე, საპარადო შესასვლელიდან გვიჩვენეს. და მაინც არ შეგვეძლო არ შეგვენშნა ის გასაოცარი კონტრასტები, რომლითაც ასე მდიდარია ამერიკული სინამდვილე. ამ ქვეყანაში პირველად არ ვიყავი და ეს საკმარისია იმისათვის, რომ გაიცნო ქვეყანა. მხედველობაში მაქვს სოციალური კონტრასტები. ამერიკელებისაგან ხშირად მოისმენთ: „მდიდრები ამერიკაში უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღატაკდებიან“.

აქ ყველაფერი ფულით იზომება. მთავარი კრიტერიუმი დოლარია, რითაც ყოველგვარი თავისუფლება და მთელი სიცოცხლეც კი იზომება. თუ ფული გაქვს, კაცი ხარ, შენ ყოველთვის ანგარიშს გაგიწევენ. თუ არა გაქვს, მათხოვარი ხარ და არავის შენთან საქმე არა აქვს. აქ ამბობენ: გაქვთ ფული? ინებეთ, რაც გნებავთ გარდა უკადავებისა, თუმცა მედიცინის მოსალოდნელ წარმატებათა იმედით შეგიძლია ანდერძი დატოვო შენი გაყინვის შესახებ. შენი სხეულის გამყინავ საკანში ყოფნის ღირებულება წელიწადში ათასი დოლარია. შეგინახავენ იმდენ წელიწადს, რამდენი ათასი დოლარიც გაქვთ. აქ ამბობენ: არ არის ისეთი ამერიკელი, რომელსაც არაფერი არ აქვნდეს, ზოგიერთებს აქვთ ფული, ზოგს მისი მოპოვების იმედი, ზოგს კი განუხორციელებელი იმედების ნამსხვრევები.

იქ თითქმის ყველა მისდევს ბიზნესს. მაგალითად: ნიუ-იორკიდან დეტროიტში მივფრინავდი. თვითმფრინავში გაფრენის წინ აცხადებენ: ოთხ ბიზნესმენს ძლიერ ეჩქარება და სურთ სწორედ ამავე თვითმფრინავით გაფრინდნენ. ყველა ბილეთი გაყიდულია. ოთხიდან ერთს არა აქვს ბილეთი. თვითმფრინავში ადგილები აღარ არის. იქნებ ვინმემ დაუთმოს ადგილი. ყველა დუმს. მსურველები არ ჩანან. თხოვნა ისევ მეორდება: მსურველს შეუძლია ერთი საათის შემდეგ გაფრინდეს და ფირმა 200 დოლარით დააჯილდოებს... და მსურველიც მალე გამოჩნდა.

აქ ჩამოსულს მუდამ აოცებს ავტომანქანების სიმრავლე. ავტომანქანები უტივვენ ადამიანებს. ქალაქი კვნესის ავტომანქანების სიმრავლის გამო. გაგონდება პოეტის სიტყვები ამერიკაში მანქანები თავს კარგად გრძნობენ, ადამიანებს კი მეტად უჭირთო. მანქანები ქუჩებში ყოველდღიურად მილიონობით კუბურ მეტრ მავნე გაზს აფრქვევენ, სუნთქვა ჭირს. დიდ ქალაქებში მანქანის დასაყენებელი ადგილის პოვნა პრობლემაა. ადგილის მომჭირნედ გამოყენების მიზნით აგებენ მრავალსართულიან გარაჟებს. ავტომანქანები სახლების სახურავებზეც მიცოცავენ — ლიფტების მეშვეობით ისინი მრავალსართულიანი შენობების ბრტყელ სახურავებზეც აღმოჩნდნენ.

ხშირად მანქანები დაუჯერებელი სიჩქარით მიჰქრიან. ყოველწლიურად ავტოსაგზაო კატასტროფის შედეგად 1 მილიონამდე კაცი სახიჩრდება და 50.000-ზე მეტი იღუპება. ამბობენ, რომ 81 წლის წინათ, პოლიციამ დააჯარიმა პირველი „თავზეხელაუღებული“ მძღოლი, რომელმაც მანქანა საათში 10 მილზე მეტი სიჩქარით გააქროლა. ამერიკაში გზის მიღმა, ხან აქ, ხან იქ, ვხედავდით ავტომანქანების სასაფლაოს. აღმართულია დამსხვრეული ავტომანქანების მთები. ავტომანქანა ამერიკელისათვის მეორე სახლად იქცა. ამერიკელს თავისი ცხოვრება უავტომანქანოდ ვერ წარმოუდგენია.

დეტროიტში იხსენებენ 1896 წელს, როცა ჰენრი ფორდი ქუჩაში თავისი სახელოსნოდან პირველი ავტომანქანით გამოვიდა. არსებობს ავტომობილების მუზეუმები, რომლებსაც ლმის მეტი დამთვალიერებელი ჰყავთ, ვიდრე სხვა მუზეუმებს. აღნიშვნის ღირსია ფორდის საინტერესო მუზეუმი. მსოფლიოში უდიდესი ავტომობილების მუზეუმი კი ამერიკელ მილიონერს ხარას ეკუთვნის. იქ 1500-მდე ავტომობილია დაცული.

აი, ვუდჰირის სასაფლაო, რომელიც ფორდის გიგანტური ქარხნის ახლოს მდებარეობს. აქ „ხსოვნის დღეს“ ხალხმრავლობაა. დეტროიტის საავტომობილო საწარმოთა მუშები აქ მოდიან იმ ამხანაგების ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც 1932 წელს ქუჩებში გამოვიდნენ შოთხოვნით: „ბოლო მოვუოოთ მასობრივ უმუშევრობას, მასობრივ შიმშილს!“. პოლიცია მათ ცეცხლით შეეგება. მას შემდეგ 51 წელი გავიდა, მაგრამ მათი ნათელი ხსოვნა ცოცხლობს მუშათა გულში.

გაზეთებში ხშირად იბეჭდება სენსაციური ამბები. უნდა ითქვას, რომ ამერიკელი რეპორტიორები დიდი მაშვრალნი არიან, მაგრამ ხძულებული ხდებიან სენსაციებით ივაჭრონ... პარადოქსული ფაქტია: რედაქციებში ინახება ნეკროლოგები ბევრ ადამიანზე, რომლებიც ამჟამად ცოცხალნი არიან. მახსოვს, ქალაქ პიტსბურგში ერთი ჟურნალისტის ნაამბობი: თუმცა ერთ ამერიკელს თავისი ნეკროლოგი წაუკითხავს და უკმაყოფილო დარჩენილა, მაგრამ ამით კი არა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალზე შეთხზეს, არამედ იმით, რომ ნეკროლოგი, მისი აზრით, ცუდად იყო დაწერილი.

ისტორიამ ჩვენამდე მოიტანა ეპიზოდი, რომელიც 1913 წელს ვუდრო ვილსონის მიერ სპარეზიდენტო ფიცის დადების დროს მოხდა. ბიბლიას რომ აკოცა და მაღლა აიხედა, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა შენიშნა, რომ ტრიბუნიდან დაშორებით პოლიციის ადამიანებს აკავებდა. „დაე, ხალხი მომიახლოვდეს“, წამოიძახა პრეზიდენტმა. ამერიკელი ისტორიკოსები აღტაცებული არიან ამ ფრაზით. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ ლამაზი სიტყვები. არა არის რა სინამდვილიდან უფრო დაშორებული, როგორც ეს სიტყვები! ისეა ახლაც!

დემოკრატიისათვის, მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო აქტიურად ებმება ხანგი მოსახლეობა. ხანგები ცხოვრების ყველა სფეროში სრულ თანასწორუფლებიანობას მოითხოვენ. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია შრომელ ხანგთა ფართო მასების გამოსვლა ამ რამდენიმე წლის წინათ დეტროიტსა და ვაშინგტონში. ლინკოლნის ძეგლთან

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲠᲔᲖᲘᲖᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ

გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. დღემდე ახსოვთ მგზნებარე სიტყვები: „მე ვოცნებობ იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ოთხივე პატარა შვილი იცხოვრებს ქვეყანაში, სადაც მათზე იმსჯელებენ არა კანის ფერის, არამედ მათი ჩამოყალიბებული ხასიათის მიხედვით“.

ამ სიტყვების ავტორს ყველა იცნობს. მას მიუძღვნეს სტატიები, წიგნები და ლექსები. იგი დახატეს მხატვრებმა. მას მთელ მსოფლიოში ბევრი მეგობარი ჰყავდა, მტრებიც არ აკლდა. ადამიანებს უყვარდათ იგი და მასაც უყვარდა ადამიანები. ეს მოდელ მარტინ ლიუთერ კინგის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ემოციური და შთამბეჭდავი სიტყვათაგანია.

1968 წლის 4 აპრილს მოკლეს ნობელის პრემიის ლაურეატი, 39 წლის კინგი. „თავისუფალი ვარ როგორც იქნა, თავისუფალი ვარ როგორც იქნა, გმადლობ, ყოვლისშემძლე ღმერთო. მე თავისუფალი ვარ როგორც იქნა“. ასეთი ეპიტაფიაა მარტინ ლიუთერ კინგის საფლავის ქვაზე.

ბევრი დაიწერა თავისუფლების ქანდაკებაზე. მომწვანო ქანდაკება გამოხატავს ქალს, რომელსაც ხელთ უპყრია ჩირაღდანი. იგი საფრანგეთში შექმნეს და 1886 წელს აღმართეს მდინარე გუძონის შესართავთან მცირე კუნძულზე. ნიუ-იორკის ნავსადგურის შესასვლელთან. თავისუფლების ქანდაკება არც ისე დიდი ხნის წინათ ბევრი ამერიკელისათვის თუ რეალური არა, მისი საზოგადოებრივი იდეალების სიმბოლო მაინც იყო. ახლა ეს ქანდაკება მათთვის იმათ პირფერობას, ორპირობას, სიყალბეს გამოხატავს, ვინც „საყოველთაო კეთილდღეობისა“ და „თავისუფლების“ შესახებ ბევრს ლაპარაკობს. ობოლივით დგას თავისუფლების ქანდაკება. მის მიერ აღმართული ჩირაღდანი არავის აღარ უნათებს!

მილიონობით ამერიკელი იძულებულია იცხოვროს სამყაროში, სადაც ბატონობენ ელექტრონული თვალი, სატელეფონო საუბრების მიყურადება, საიდუმლო აგენტები, „ჩასაფრებული“ მაგნიტოფონები... დღეს ამერიკის თითოეული მოქალაქე, ერთი სენატორის სიტყვებით რომ ვთქვათ, აკვარიუმში მოთავსებულ თევზს ჰგავს, რომელსაც მინის კედლები ვერც ერთი მხრიდან ვერ იფარავს ცნობისმოყვარეთა მზერისაგან.

ჩვენ ყოველთვის კითხვებით პირდაპირ გვიტევდნენ იმ პირთა შესახებ, რომლებმაც სამშობლო დატოვეს. ხალხი სამართლიანად ამბობს: ყოველ ოჯახშია მახინჯი. ჩვენ არასდროს არ გვექნება „მოქალაქეობრივი უფლებები“ ბუკოვსკისა და მისთანებისათვის. ამ კაცუნებს არ აინტერესებთ თავიანთი ხალხის, თავიანთი ქვეყნის ბედი. გული არ შესტკივოდათ და არ შესტკივათ მათზე. ისინი ჩვენს პრობლემურ ამოცანებზე სპეკულაციას ეწევიან. ჩვენ გვქონდა და გვაქვს ჩვენი პრობლემები. ჩვენ აშკარად ვამბობდით და ვამბობთ ჩვენი სიძნელეების შესახებ, და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ გადავლახოთ, დავძლიოთ ისინი. ჩვენ მათ ამაყად ვეუბნებით: მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დასაცავად ბრძოლაში ჩვენ 20 მილიონი კაცის სიცოცხლე დავკარგეთ. ამისათვის ნანგრევებად იქცა ათასობით ჩვენი ქალაქი და სოფელი. ჯერ კიდევ ცრემლი არ შეშრობია ათასობით დედის თვალს...

ჩვენ დიდი სიმპათიითა და პატივისცემით ვართ გამსჭვალული ამერიკელი ხალხისადმი, მისი ისტორიისადმი, ტრადიციებისადმი, პროშესიმოყვარეობისადმი.

მაგრამ არ შეიძლება არ დავიანახოთ და არ ვთქვათ, რომ ამერიკაში ცოტანი როდი არიან ანტისამეფოურობით ჭაკუას გადასული ვაჟბატონები, რომლებიც ისწრაფვიან გააჩაღონ ახალი ომი. აყალბებენ, ამრუდებენ ჩვენს ისტორიას. მაგრამ პატიოსანი ადამიანები მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ მომავალი მათი არ არის. იქ ინტერესს იჩენენ ერთი მუჭა ნაძირალა ანტისამეფოელების „უფლებებისადმი“. არქმევენ მათ „ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლებს“ და ამ მიზნით ურცხვად უწევენ რეკლამას როგორც „წერილებს“, „მხატვრებს“, „მოაზროვნეებს“ და ა. შ. „სწორედ იმ ბინძურ დახლზე, სადაც მიმდინარეობს ვაჭრობა, — როგორც მშვენიერად თქვა სახელგანთქმულმა საბჭოთა მხატვარმა ნ. ტომსკიმ, — ასეა აღნიშნული: შეთხზე პასკვილი— შენ უკვე წწერალი ხარ, თუ ტელოზე სისულელე მოთხანე — მხატვარი ხარ, მიაფურთხე შენს ქვეყანას — მოაზროვნეს დაგარქმევენ“.

სწორედ ამ ადამიანებს აფარებენ კალთას იმ სამყაროს მესვეურნი, სადაც უცერემონიოდ და თავხედურად იოლვევა და ფეხქვეშ ითელება ადამიანის ჭეშმარიტი უფლებები.

შეერთებულ შტატებში მგზავრობისას გულმავიწყ თანმხლებთაგან არაერთხელ გამიგონია სიტყვები „თავისუფალი ამერიკის“ შესახებ, ცენზურის არარსებობის შესახებ და მაშინ გვიხდებოდა მოგვეგონებინა მათთვის, თუ რა ბედი ეწიათ ჯონ რიდს და ჰაქსტონ გიბენს, რომლებმაც სიმართლე დაწერეს საბჭოთა კავშირის შესახებ.

გავიხსენოთ ისტორიის ფურცლები: წითელ მოედანზე კრემლის კედელთან არის საფლავები. აქ განსვენებენ მგზნებარე რევოლუციონერები, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მოღვაწენი. მათ შორისაა ჯონ რიდი — სახელგანთქმული ამერიკელი პუბლიცისტი. იგი ხვდებოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. „ათი დღე, რამაც შეძრა ქვეყნიერება“... ამ სახელმოხვეჭილი წიგნის ავტორი მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი. „ძველ ქალაქს ვერც კი იცნობ, ისე შეიცვალა, — წერდა პეტროგრადში იმხანად ჩამოსული ჯონ რიდი თავის მეგობარს, მხატვარ ბორდმან რომბინსონს, — სიხარული მეფობს იქ, სადაც წყვდიადი იყო, ისინი კი, ვინც ამ ცოტა ხნის წინათ ილხენდნენ, ახლა სასოწარკვეთილებას მისცემიან. მოხუცმა მუშამ, რომელიც ჩვენს მანქანას მართავდა, აღტაცების ყესტით შორს მოცამციმე დედაქალაქისაკენ გაიშვირა ხელი: „ჩემია! — ყვიროდა იგი, და სახე უბრწყინავდა, — ახლა მთლიანად ჩემია! ჩემი პეტროგრადი!“.

ვილიამ ჰეივუდი, ამერიკელი რევოლუციონერი. მას ეკუთვნის მშვენიერი სიტყვები: „ადამიანი, რომელიც უფრო მეტს ილაპარაკობს, ვიდრე იგი გამოიმუშავებს, ქურდია. ის კი, ვინც თავის გამომუშავებულზე უფრო მცირეს ღებულობს და ამასთან ერთად პრეტენზიას არ აცხადებს, ნებაყოფლობითი მონაა“. ის მოსკოვში 1928 წელს გარდაიცვალა. ამ უკანასკნელის ნეშტი, თანახმად მისი ანდერძისა, ორ ნაწილად გაყვეს. ერთი ნაწილი დაკრძალულია კრემლის კედელთან, მეორე — ჩიკაგოში, მუშების ძმათა სასაფლაოზე.

კრემლის კედელთან დასაფლავებულია ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩარლზ ემილ რუტენბერგი და სხვები. ან გავიხსენოთ გიბენი. ვინ არის იგი? ამერიკის არმიის კაპიტანი, ბრწყინვალე პუბლიცისტი. იგი კომუნისტური პარტიის წევრი. არ არის, იგი, უბრალოდ, რევოლუციური იდეალების და თავისი ქვეყნის ტრადიციების ერთგული პატიოსანი ამერიკელი. მხოლოდ 1919 წლის ბოლოს შეძლო მან გამოეღწია თავი ამერიკის შეერთებული შტატებიდან — „იგი ახლო აღმოსავლეთისადმი დამხმარე საზოგადოების“ კომისიასთან ერთად ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში. აქტიურად მონაწილეობს შიმშილობასთან ბრძოლაში. გიბენი შვიერი ბავშვებისათვის დასახმარებლად 400 ათას დოლარს აგროვებს და შემოაქვს რუსეთში. ეს პუბლიცისტი მგზნებარე სიტყვებით გამოდის ამერიკის ქალაქებში მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე.

მან ვ. ი. ლენინს მიუძღვნა სტატია „ახალი სამყაროს მშენებელი“. ლენინის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას კაცობრიობის წინაშე პუბლიცისტი იმაში ხედავდა, რომ მან საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის საფუძვლად მშვიდობა გამოაცხადა. „ერთი წყურვილი დაუფლება მთელი პლანეტის კაცთა და ქალთა გულებს... მათ მშვიდობა სურთ... ხალხის მშვიდობისათვის დიდ წყურვილს, ომისადმი სიძულვილს ვერ ჩაწვდნენ ვერც პოლიტიკოსები, ვერც საქმიანი ხალხი“.

ერთადერთმა ლენინმა გაზომა ამ წყურვილის და სიძულვილის სიღრმე და მგზნებარება, როცა მან უყოყმანოდ მოუწოდა დაუყოვნებლივი მშვიდობისათვის. თითქოს მაგიური კვერთხის ერთი მოქმედებით მისმა ხმამ შეაღწია მშრომელი, მებრძოლი ადამიანების გულში, ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა მიწვდომოდა მისი სიტყვა... მილიონებმა გაიგონეს და დაიჯერეს ეს სიტყვა — მშვიდობა!

...1923 წლის დამდეგია. მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. ადამიანს ასამართლებენ ბოლშევიკური რუსეთისადმი სიყვარულისათვის, მის შესახებ სიმართლის თქმისათვის. მაგიდაზე მოდა იმ დარბაზების მახლობლად, სადაც გამოდიოდა სახელგანთქმული მომღერალი! მისი მგზნებარე სიტყვების და მშვენიერი სიმღერებისა ეცინა უფრო ეშინოდათ. ეშინოდათ სიტყვებისა, სიმღერებისა, რომლებიც შეერთებულ შტატებში ზანგთა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მისი მგზნებარე ხმა, როგორც მოგეგონებინა ზარი ყოველთვის მოუხმობდა კეთილ ნების ადამიანებს მშვიდობის დასაცავად. მას უყვარდა რუსულად გაემეორებინა: მე მიყვარს საბჭოთა კავშირი, ძლიერ მიყვარს! მე თქვენი მეგობარი ვარ, ნამდვილი მეგობარი!

შეერთებულ შტატებში ყოფნისას აკრძალეს ცოტა ამერიკელი მაგრად გვართმევდა ხელს და გვეუბნებოდა: „ჩვენ გვჯერა თქვენი...“ „ჩვენ გვინდა თქვენთან მეგობრობა...“ ვნახეთ ქუჩებში დემონსტრაციები ლოზუნგით: „პური და არა ბომბები“. ძალიან ბევრი ვნახეთ, რომლებიც მხარს უჭერენ ათი წლის ამერიკელი გოგონას სამანტა სმიტის წერილსა და დიდი ქმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა გამონახა დრო და წერილით უპასუხა ამერიკელ გოგონას.

საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ერთ-ერთმა ინსტიტუტმა თემაზე — „რა იციან ამერიკელებმა საბჭოთა კავშირის შესახებ“ გამოკითხვა მოაწყო. აღმოჩნდა, რომ ამერიკის კოლეჯების 16 პროცენტმა არ იცის ვის წინააღმდეგ და ვის მხარეზე იბრძოდა საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის წლებში. სტუდენტთა 9 პროცენტი თვლის, რომ სსრ კავშირი გერმანიის მხარეზე იბრძოდა, სტუდენტთა 14 პროცენტმა ვერ შეძლო დაასახელებინა რომელიმე ორი საბჭოთა ქალაქი. 8 პროცენტმა არ იცის სსრ კავშირის დედაქალაქი, 34 პროცენტს არასდროს არ წაუკითხავს საბჭოთა ავტორების არც ერთი წიგნი, 87 პროცენტს არც ერთი საბჭოთა ფილმი არ უნახავს.

ბურჟუაზია ამერიკელთა გულებსა და გონებებზე „ხადირობს“ ყველაფერს აკეთებენ, რომ ამერიკაში რაც შეიძლება ცოტა იცოდნენ სიმართლე ჩვენი ქვეყნის შესახებ, სანელი გაუტეხონ ყოველივე საბჭოურს. ეს ახალი ამბავი როდია. ყველას ახსოვს 1961 წელი, როდესაც იური გაგარინმა კოსმოსური ხომალდით პირველად შემოუფრინა დედამიწას. მაშინ გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ იმასაც კი წერდა: „რუსმა იური ი გაგარინმა, საბჭოთა კავშირიდან გაქცევა რომ ვერ შეძლოს, ამიტომ თავის რაკეტაში სავარძელზე ღვედებით მაგრად არის მიმაგრებულიო“.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ცილისწამებისა, მაგრამ მათი რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი სულ უფრო მცირდება.

ხანგრძლივი მოგზაურობისას თითოეული ჩვენგანისათვის სამაგალითო ფერფსი გახდა ყოველივე, რაც მშობლიურ სახლს მოგვაგონებდა. „მოიღეს ყურათები — ღია ბარათები, რომლებზეც რუსული პეიზაჟია ასახული. მე და პარტიის გლდანის რაიკომის პასუხისმგებელმა მუშამა დავით ნარსიამ დავხედეთ რუსთაველის გამზირს, მთაწმიდას... და ადამიანები თითქოს გარდაიქმნენ, როცა გიდმა თქვა, რომ დასახლება მოსკოვის მახლობლად ჩავიკეთოო... ქვეყნის 12 შტატში შეხვდებით ამ სახელწოდებას. ზოგჯერ ასე უწოდებდნენ თავიანთ დასახლებას რუსი ემიგრანტები. სხვა დროს ამ სახელწოდებას აკუთვნებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ გასულ საუკუნეში ამერიკელებს უყვარდათ თავიანთი ქალაქებისა და სოფლებისათვის უცხოური სახელების დარქმევა. არის რამდენიმე ოდესა. არის დასახლება კიევი. მას ასე დაარქვეს უკრაინელმა ემიგრანტებმა 1906 წელს.

ჩვენ ვტოვებთ უზარმაზარ ქვეყანას. ამ ქვეყანაში ბევრი მეგობარი და ბევრი კეთილის მსურველი გვყავს.

მაგონდება ერთი სასიამოვნო შეხვედრა. ვამბობდით სადღეგრძელოებს, ეცივკვავდით. და ერთმა თანამესუფრეებს შესთავაზა ვიმღეროთო. ყველა ერთხმად დათანხმდა. მაგრამ რა გვემღერა? უნდა შეგვერჩია სიმღერა, რომელიც ყველას ეცოდინებოდა. მრავალი ვარიანტი ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. უცებ წამოდგა ფორდის ქარხნის ძველი მუშა. მან კუბინმგარი მარჯვენა აღმართა. ყველა გაყუჩდა. და ნელი ხმით ზეიმურად დაიწყო „ინტერნაციონალი“. ყველა აყვა უკვდავ ჰიმნს, რომელიც ყოველთვის ერთიანობისა და სოლიდარობისაკენ მოგვიწოდებს. მან გაიხსენა, რომ ხშირად უმღერია სხვებთან ერთად დემონსტრაციებზე ეს სიმღერა და ბოლოს მგზნებარე მოწოდებად გაისმა მოხუცის სიტყვები: დღეს, როგორც არასდროს თითოეული პასუხს აგებს კაცობრიობის არსებობისათვის! შემდეგ ხიდები ახსენა... მათი უშუალო დანიშნულება ნაპირების შეერთებაა თქვა, მაგრამ კულტურული კავშირების ურთიერთობის დამყარება ესეც ხიდებია, რომლებიც ადამიანთა აზრებს, გრძნობებს და გონებას აერთიანებს. ხიდი კი ორივე მხრიდან უნდა შენდებოდეს.

ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

---

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲣᲙᲘᲡᲝᲔᲗᲘᲡᲣᲠᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲕᲘᲜ ᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲡ

ᲣᲔᲜᲔᲕᲐ. აქ მუშაობას განაგრძობს განიარაღების კომიტეტი. მეტწილ დელეგაციათა მეთაურების გამოსვლებში იგრძნობოდა უმაყოფილება იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი უახლოესი ნატოელი მოკავშირენი ბრკოლებენ მოლაპარაკებას გამალებული შეიარაღების შეზღუდვის, განიარაღების სხვადასხვა ასპექტებზე, კერძოდ, ისეთ გადაუდებელ პრობლემებზე, როგორიც არის ბირთვული ომის თავიდან აცილება, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტა და ბირთვული განიარაღება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ლ. ისრაელიანმა ხაზგასმით აღნიშნა განიარაღების კომიტეტის პასუხისმგებლობა თანამედროვე ეტაპზე. ეს ეხება ბოლო ორ-სამ წელიწადს, ანუ ბოლო ოცი თვეა, — ეს ეხება ბოლო ოცი თვე, — ეს ეხება ბოლო ოცი თვე, — ეს ეხება ბოლო ოცი თვე

დიდი ხელოვანი

არამ ხაჩატურიანის დაბადების 80 წელი მთელს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა

ათი წლის წინათ, გაზაფხულის დამდეგს თბილისს სტუმრად ეწვია არამ ხაჩატურიანი. ჩვენი ქალაქი მაშინ სხვებთან ერთად ზეიმობდა სახელგანთქმული კომპოზიტორის დაბადების 70 წლისთავს. გუშინდელივით მახსოვს სადღესასწაულოდ განათებული საკონცერტო დარბაზები, ოფიციალური დარბაზობანი, წვეულებანი. იმ დღეებში სოლისტები ერთმანეთს ეხაცვლებოდნენ, ანსამბლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ორკესტრის მუსიკოსები მორჩილად აყოლებდნენ მაესტრო-დირიჟორის ხელს თვიანთი საკრავების ხმას. კულუარებში საგანგებოდ გამოწყობილი და გამოფენილი საზოგადოებრიობა ირეოდა, თვალწინ სიხარულისაგან აღგზნებული სახეები ელავდნენ. მუსიკალური ცხოვრება მართლაც რომ ჩქეფდა იმ დღეებში.

დიახ, მას მერე ათმა წელმა განვლო, ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაირბინა. დღეს უკვე დიდი მუსიკოსის დაბადების 80 წლისთავს აღვნიშნავთ, და ჩვენთან ისევ ზეიმია, იმიტომ, რომ ყველა ჩვენ-განისთვის ახლობელმა, ცხოველმყოფელი ენერგიით აღსავსემ, მზის სხივებით გაჟღენთილმა, სიკეთით გამთბარმა მისმა ხელოვნებამ არ შეიძლება საზეიმოდ არ განგაწყოს.

მაგრამ თვით დიდოსტატი უკვე ვეღარ ესწრება ამ დღესასწაულს...

არამ ხაჩატურიანის სახელი ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, კერძოდ, თბილისთან. მართალია, იგი ადრე ყრმობაში წავიდა ჩვენი ქალაქიდან, მაგრამ ბევრი თბილისელის ძმობა და სიახლოვე სამუდამოდ თან გაიყოლა.

კიდევ ერთი რამ გაიყოლა თან აქედან წასულმა ახალგაზდა მუსიკოსმა და ეს „ერთი რამ" იყო, ასე ვთქვათ, თბილისური ინტონაცია, რომელიც მისი მუსიკის თილისმად იქცა მომავალში.

ჩვენი ქალაქური მუსიკა იმთავითვე გამორჩეოდა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით, რადგან მას არაერთი ეროვნული მუსიკალური კულტურა ასაზრდოებდა. სწორედ ამით ახსნება ის, რომ, როცა ქართველი კომპოზიტორი ქალაქურ ფოლკლორს მიმართავს, ხშირად ძნელი ხდება განასხვავო მისი მუსიკა სომხური ან აზერბაიჯანული მუსიკისაგან. მუსიკის ინტონაცია რამდენადმე სამეტყველო გამოთქმას მოგვაგონებს. მახსოვს, როცა ერთხელ მოსკოვის კონსერვატორიის თავისუფალ აუდიტორიაში ვმეცადინეობდი, უცნობმა შემოაღო კარი და მითხრა, ახლა ჩემი მეცადინეობის ჯერია. მე მაშინვე დავინტერესდი და ვკითხე, თბილისელი ხომ არ ბრძანდებითმეთქი. თურმე, ბავშვობა თბილისში გაეტარებინა. მას მერე ჩვენი ქალაქი თვალითაც არ ენახა და გამოთქმა კი მაინც აქაური ჰქონდა. სწორედ ამდაგვარი თბილისური ინტონაცია გაჰყვა „ბოლომდე შერჩა არამ ხაჩატურიანის მუსიკას. ვისაც ეს ინტონაცია გაუგონია, ის სულაც არ გაიკვირვებდა, რომ დიდ ხელოვანს ასე უყვარდა თბილისი და თბილისელები, რომ ასე ზრუნავდა ქართველ კოლეგებზე, რომ ერთგვარი სიამაყით აღნიშნავდა, ქართველებს კომპოზიტორს ვუზრდიო. და მეც, მისი მადლიერი მოწაფე, დღეს უდიდესი პატივისცემით ვიხსენებ მის სახელს და არასდროს ვივიწყებ იმ დიდ ამაგს, რომელიც მან მუსიკას დასდო.

მუსიკის ძალა ყველამ იცის. თუ დღეს ქართველ და სომეხ მუსიკოსებს ჭეშმარიტი მეგობრობა გვაკავშირებს, ამაში დიდი წვლილი არამ ხაჩატურიანსაც მიუძღვის.

ნოდარ გაბუნია,
პროფესორი, საქართველოს სხრ სახალხო არტისტი.

ირემი, მთასა მყვირალი...

ცხოველები ეძებენ ადამიანთან მეგობრობას

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად უკანასკნელი ორიათასი წლის მანძილზე ჩვენს პლანეტაზე 106 სახეობის ცხოველი და 139 სახეობის ფრინველი გადაშენდა.

ფაუნის სწრაფი განადგურება განსაკუთრებით ბოლო ორასი წლის მანძილზე შეინიშნება, როცა 73 სახეობის ცხოველი გადაშენდა, ხოლო ამჟამად გადაშენების პირზეა 600-მდე სახეობის ნადირ-ფრინველი. საქართველოში ჩვენ და ჩვენი ახლობელი წინაპრების თვალწინ გადაშენდნენ: თახვი, დომბა ანუ ზუბრი, ჯიქი, აფთარი, ქურციკი. ძვირფასი სანადირო ფრინველი, „ვეფხის ტყაოსანში" არაერთხელ ნახსენები დურაჯი. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში, ალანდარაივრის აღკვეთილის დაარსების შემდეგ, კვლავ გამოჩნდა დურაჯი ივრის ნაპირებზე. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად შევინარჩუნებთ მას.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად უკანასკნელი ორიათასი წლის მანძილზე ჩვენს პლანეტაზე 106 სახეობის ცხოველი და 139 სახეობის ფრინველი გადაშენდა.

ფაუნის სწრაფი განადგურება განსაკუთრებით ბოლო ორასი წლის მანძილზე შეინიშნება, როცა 73 სახეობის ცხოველი გადაშენდა, ხოლო ამჟამად გადაშენების პირზეა 600-მდე სახეობის ნადირ-ფრინველი. საქართველოში ჩვენ და ჩვენი ახლობელი წინაპრების თვალწინ გადაშენდნენ: თახვი, დომბა ანუ ზუბრი, ჯიქი, აფთარი, ქურციკი. ძვირფასი სანადირო ფრინველი, „ვეფხის ტყაოსანში" არაერთხელ ნახსენები დურაჯი. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში, ალანდარაივრის აღკვეთილის დაარსების შემდეგ, კვლავ გამოჩნდა დურაჯი ივრის ნაპირებზე. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად შევინარჩუნებთ მას.

დღეისათვის საქართველოში გადაშენების ზღვარზეა ნიამორი, რომელიც შინაური თხის წინაპარად ითვლება. ჩვენში ნიამორის გავრცელების არეალი მეტად ვიწროა (თუშ-ფშავ-ხევსურეთი ს მთები), და მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ცხოველმა თუ დღემდე მოაღწია, ამის მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ფშავ-ხევსურეთში ნიამორს წმინდა ცხოველად თვლიდნენ და მასზე ნადირობას ყველას უკრძალავდნენ.

ძლიერ შემცირდა კავკასიის მთების სიამაყის — ჯიხვის რიცხვიც. ეს დიდებული ცხოველი მთელ მსოფლიოში სხვაგან არსად მოიპოვება. სხვა არა იყოს რა, მარტო ამისათვისაც განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდ ე თ ჯიხვს. გაქრობის საშიშროება შეექმნა კავკასიის კეთილშობილ ირემსაც.

წარსულში საქართველოს ტყეები სავსე იყო ირმით, სულ ახლახანს, გასული საუკუნის 30-იან წლებში, აჯამეთის ტყეც განთქმული ყოფილა ირმებით. ამჟამად ირემი „წითელ წიგნშია" შეტანილი.

„წითელ წიგნში" შესატანი გახდა გარეული ღორიც, რომლის რიცხვიც კავკასიაში კატასტროფულად შემცირდა.

ამოცანა ის არის, რომ მოსახლეობა აქტიურად ჩაებას ბუნების დაცვის საქმეში, რათა დღეს არსებული სახეობანი მაინც შევუნარჩუნოთ მომავალ თაობებს.

შევძლებთ თუ არა გარეულ ცხოველთა შენარჩუნებას ატომის საუკუნეში, შეუნელებელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ვითარებაში? არიან ადამიანები, რომლებიც ამ საკითხზე უარყოფით პასუხს იძლევიან, მაგრამ ისინი ცდებიან. ადამიანის გონივრული მოქმედების შედეგად შესაძლებელია არა მარტო არსებულ სახეობათა შენარჩუნება, არამედ გადაშენებულთა ნაწილობრივ აღდგენაც.

მთელ მსოფლიოში მხოლოდ 8 სულამდე იყო შემორჩენილი ზუბრი. საბჭოთა კავშირში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დღეისათვის ზუბრები კვლავ დანავარდობენ ჩრდილო კავკასიის, კარპატებისა თუ ბელორუსიის ტყეებში და მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულ სულამდე გაიზარდა.

შემჩნეულია, რომ ცხოველები, თუ მათ არ სდევნიან, ადამიანთა მეზობლობას არ გაურბიან. არაერთი მაგალითი ვიცით იმისა, როცა დასაღუპად განწირულ ცხოველებს ადამიანისათვის „მიუმართავთ". ასე მოხდა, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ. ბორჯომის ნაკრძალიდან მგლებდადევნებულმა დაკბენილმა ირემმა ტყეს კი არ მიაშურა, სოფლისაკენ აიღო გეზი, ადამიანების თვალწინ ჩაიარა, რომლებმაც იგი განკურნეს და ტყეს დაუბრუნეს.

ვინ. არ წაუკითხავს შავი ზღვის პირას ანაპის პლაჟზე მომხდარი ამბავი, როცა დაჭრილი დელფინი ნაპირს მოადგა და მანამ არ მოშორდა ადამიანებს, სანამ მას ჭრილობა არ მოუნახეს და დეზინფექცია არ გაუკეთეს, რამდენი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლება!

„შპარგალკა"

ფელეტონის მაგიერ

გამოცდგისწინა სასარგებლო შეგონება, რათა მომავალში ივანემ გეჭანა არ შეირთოს ცოლად

— თქვენმა შვილმა თემა შპარგალკედან გადაწერა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ძალიან ცუდად გადაწერა.

ქალს ენა ჩაუვარდა: ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ მის ბიჭს შპარგალკა სწორედ ვერ გადაეწერა. მაგრამ ის კი იცოდა, რომ შპარგალკის გამოყენების უფლება არა ჰქონდა. ამიტომ, თავისით დაწერაო, — ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა.

— თქვენმა შვილმა ეს თემა არ იცის, ამიტომ თავისით ვერ დაწერდა, — სიმშვიდეს არ კარგავდა კომისიის წევრი, — გნებავთ ახლავე დაგარწმუნებთ ამაში?..

ქალი შეცბა — ამდენს აღარ ელოდა. განა მართლა არ იცოდა, რომ მისი ვაჟი ამ საგანში მზად არ იყო?

— აბა, ყმაწვილო, დამისახელეთ „გაყრის" პერსონაჟები! თქვენ ხომ გუშინ „გაყრა" დაწერეთ.

ჩაჭრილი აბიტურიენტი დუმდა,

— ეს რა, ზეპირი გამოცდაა?!

— გაგულისდა დედამისი.

— მე შეგახსენებთ, — განაგრძობდა კომისიის წევრი: ანდუყაფარი, პავლე... მესამე ძმას რა ჰქვია?

— ივ... ივანე! — სახე გაუნათდა აბიტურიენტს.

— აი, ხომ ხედავთ, იცის!

— კი, ბატონო, იცის! ახლა ამაზე მიპასუხეთ: ვინ შეირთო ივანემ ცოლად ფულის გულისთვის?

აბიტურიენტს ისევ ეცვალა ფერი.

— აი, ხომ ხედავთ, არ იცის, — მიუბრუნდა ქალს კომისიის წევრი, და შპარგალკიდანაც ვერ ამოიკითხა, იმიტომ რომ შპარგალკა მისი არ იყო. ვერ ამოიკითხა „შუშანა" და გამოუვიდა: „ივანე იძულებული გახდა ფულის გულისთვის ცოლად შეეროთო ბეჭანა". მეც, ქალბატონო, იძულებული გავხდი ამ სისულელის გამო „ორიანი" დამიწერა.

— მარტო ამ ერთი შეცდომისთვის? — არ გაუყდა ქალი.

— რატომ ერთი შეცდომისთვის?! აი, ინებეთ: „გაყრის" სხვა პერსონაჟი მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი მიგიხტა კახპაში ტრეტიაკოვი გახდა; ამიტომ მაკრინე მპრინეფ მოინათლა, ყარდაშვერდის გადაშენდი დაერქვა. თუმცა იმას კი ვერაფრით მივხვდი, სასამართლოს მოხელე რამაზი როგორ იქცა რამაზ მეფედ. ასეთი სისულელე არა მგონია იმ შპარგალკის პატრონს გაპარეოდა თავის ნაწერში.

ქალს სახეზე ალმური წაეკიდა, დაბნეული იდგა, საამრად ბოლომდე გაბოლილი უეცრად განიარაღებული აღმოჩნდა.

— კიდევ ხომ არ ინებებდით თქვენი შვილის შეცდომების ნახვას?

— რა აზრი აქვს...

— რა თქმა უნდა, არაფერი! ასევე აზრი არ ჰქონდა თქვენს აქ მობრძანებას, იმიტომ რომ, ვალებს ადამიანისათვის „მიუმართავთ". ასე მოხდა, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ. ბორჯომის ნაკრძალიდან მგლებდადევნებულმა დაკბენილმა ირემმა ტყეს კი არ მიაშურა, სოფლისაკენ აიღო გეზი, ადამიანების თვალწინ ჩაიარა, რომლებმაც იგი განკურნეს და ტყეს დაუბრუნეს.

ამ მხრივ, ბასაოცარ მზრუნველობას იჩენენ. რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ მათ ადამიანი დახრჩობისა და ზვიგენების თავდასხმისაგან უხსნიათ, მარჯნის რიფებს შორის მიმავალი გემისათვის უსაფრთხო გასასვლელები უჩვენებიათ და სხვა.

ასეთი მაგალითების გაცნობა ადამიანს აყვარებს ბუნებას, ცხოველთა სამყაროს.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს გარემოს დასაცავად. იწერება წიგნები ნიადაგის, წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით. წარმოებს საწმენდი ნაგებობების მშენებლობა, ტყეებს ხელოვნური გაშენება ა. შ. ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, საჭიროა მეტი იწერებოდეს და კეთდებოდეს ფაუნის დასაცავადაც, ვინაიდან ცხოველთა სამყაროს გადაშენება ემუქრება.

ჩვენი აზრით, საჭიროა კიდევ უფრო მეტად გამაცრდეს ღონისძიებანი ბრაკონიერების ასალგამდ.

ფაუნის ყოველი უნიკალური წარმომადგენელი უნდა დავიცვათ, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კავკასიის კეთილშობილი ირემი. ეს ძვირფასი ცხოველი იძლევა დიდი რაოდენობით (300 კილოგრამზე მეტ) ხორცს, მისი ტყავი იხმარება ნატის („ზამშე") დასამზადებლად, რქები გამოიყენება სამკაულებისა და სხვადასხვა საგნების (ღილების, დანის ტარის და სხვა) გასაკეთებლად. ამასთან ერთად, ხალხში გავრცელებულია რწმენა ირმის რქებისა და რძის სამკურნალო თვისებების შესახებ.

წარსულში ირმის რძეს დაეჟილობის სამკურნალოდ იყენებდნენ. ავშანდაძეთა სიგელში ნაათქვამია, რომ გელათის აშენების დროს დავთი აღმაშენებელი გადმოვარდნილა. სამას ხუთი ექიმი თავს დასტრიალებდა დაშავებულს და ვერაფერს შველოდა. ბოლო ჟამს მოსულმა ექიმმა თქვა: „თუ არა ირმის რძეშიგან დავაწუენთ, არა ეშველების რაო", ხოლო როცა მკურნალობის ეს წესი შეასრულეს, „იპრიანა ღმერთმა, დარჩა აღმაშენებელი".

„ქართლის ცხოვრება" და ზოგი სხვა ისტორიული წყაროს გვაუწყებს, რომ ფეოდალურ საქართველოში ჰყოლიათ მოთვინიერებული ირემები, რომლებსაც წვალიდნენ კიდეც. მაგალითად, წმინდა ანტონს ირმის ჯოგი დაუდიოდა აკრიანის მთების მახლობლად. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში როსტომ რაჭის ერისთავს 80 მეწველი ირემი ჰყოლია.

ცნობილია, რომ კავკასიის კეთილშობილი ირემი იოლად ეჩვევა ადამიანს, თანაც, თუ გავიხსენებთ მრავალ მეცნიერთა აზრს, რომ ცხოველთა მოშინაურების პროცესი არ შეიძლება მხოლოდ შორეული წარსულის კუთვნილებად მივიჩნიოთ, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება, მაგალითად, როცა მოშინაურებულია ციმბირის ირემი — რატომ არ უნდა დაისვას ჩვენი ირმის მოშინაურების საკითხი? ამით ხომ საბოლოოდ ვიხსნით მას გადაშენებისაგან.

ჩვენი უნიკალური ფაუნა სერიოზულ ზრუნვას საჭიროებს. ცხოველები ეძებენ ადამიანთან მეგობრობას, ჩვენც დავუმეგობრდეთ, გაწეული სიკეთე უეჭველად ასმაგად აგვინაზღაურდება.

თამარ კოხოძე,
საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტი, ბუნების დაცვის უნივერსიტეტის დეკანი.

კარიკატურისტის კომენტარი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების მიხედვით



ლექტორი ჭრიაშვილი.

კრიტიკა ზოგიერთის გაგებით.



ფორმალისტის „აქტუალური" ინტერვიუ.



საზოგადოებას — მცირე ბარით, საზოგადოებისაგან — გაშლილი ტორით...

ი. ყეინაშვილისა და ლ. მართაშვილის ნახ.

სატირა და იუმორი

იდგა მოშრიალე ხის ქვეშ სანდომიანი სახის დარბაისელი ქალი და სიამაყით შესცქიროდა თავის თმაქოჩორა ბიჭს, რომელიც გუშინ მეოთხე გამოცდაზე გავიდა ქართულ წერაში და ბედმა გაუმართლა: გამოცდაზე მოსული სამი თემიდან ორი დამუშავებული ჰქონდა, ან უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ორის „შპარგალკა" ჰქონდა ნაშოვნი; ეს „შპარგალკები" მან სწორედ წინა დღით ითხოვა მეგობრისაგან. ის კი ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა უნივერსიტეტში. თემა — „გორგი ერისთავის „გაყრა" დაწერა და ხუთიანი მიიღო. ახლა აქ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მახქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ნამდვილად გადაირევიან გამსწორებლები, ამის დამწერს ჩვენთან რა უნდაო, იტყვიან... წინასწარ უხაროდა აბიტურიენტს და მისი თვითდაჯერება „ნიუიერი და იღბლიანი შვილის" დედასაც გადაედო. იდგნენ ახლა დედა-შვილი და ხუთიანს ელოდნენ.

მაგრამ კაცი ბეჭობდა, ღმერთი იცინოდაო, დიქტორმა აბიტურიენტს ორიანი გამოუცხადა.

ბიჭი გაშრა, ყურებს არ დაუჯერა.

სამაგიეროდ დედა არ დაიბნა და იკვლა:

— ნაძირალები!.. დამიღუპეს შვილი! — უეცრად გაქრა მისი მომხიბვლელი სდარბაისლე. მრისხანებით ანთებულ თვალებს ახლა ქორივით აბრიალებდა და მზად იყო იქაურობა ნაცარტუტად ექცია.

— გარეწრები! — ყვიროდა იგი, — მაგას შეგარჩენთ?

— უჩივლე — უკარნახა ვიღაცამ.

— ყველას ციხეში ამოვაყოფინებ თავს! — იმუქრებოდა ქალი. მერე შვილს ჩაავლო ხელი და წინ გაიგდო. — ახლავე დავწეროთ განცხადება საპრეტენზიო კომისიის სახელზე და მერე მოვუვლი მაგათ!

მისი დაწყნარება ვერავინ შეძლო, ვიდრე საპრეტენზიო კომისიის წევრებს არ წარუდგინეს.

— რა ხელმა დაგაწერინათ „ორიანი" ამისთანა ნაშრომში, — ანჩხლობდა მომჩივანი, ვიდრე ნაწერს გადაფურცლავდა. — იცით თუ არა, აი, სწორედ ამ თემაში უნივერსიტეტში ხუთიანი დაიწერა, ისიც ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ფი-ლო-ლო-გი-ის! — ხაზს უსვამდა ქალი.

კომისიის წევრმა მშვიდად მიუგო:

— მჯერა ქალბატონო, მაგრამ თქვენი შვილის თემა რა შუაშია?

— რატომ დაუწერეთ ორიანი?

— თქვენმა შვილმა თემა შპარგალკედან გადაწერა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ძალიან ცუდად გადაწერა.

ქალს ენა ჩაუვარდა: ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ მის ბიჭს შპარგალკა სწორედ ვერ გადაეწერა. მაგრამ ის კი იცოდა, რომ შპარგალკის გამოყენების უფლება არა ჰქონდა. ამიტომ, თავისით დაწერაო, — ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა.

— თქვენმა შვილმა ეს თემა არ იცის, ამიტომ თავისით ვერ დაწერდა, — სიმშვიდეს არ კარგავდა კომისიის წევრი, — გნებავთ ახლავე დაგარწმუნებთ ამაში?..

ქალი შეცბა — ამდენს აღარ ელოდა. განა მართლა არ იცოდა, რომ მისი ვაჟი ამ საგანში მზად არ იყო?

— აბა, ყმაწვილო, დამისახელეთ „გაყრის" პერსონაჟები! თქვენ ხომ გუშინ „გაყრა" დაწერეთ.

ჩაჭრილი აბიტურიენტი დუმდა,

— ეს რა, ზეპირი გამოცდაა?!

— გაგულისდა დედამისი.

— მე შეგახსენებთ, — განაგრძობდა კომისიის წევრი: ანდუყაფარი, პავლე... მესამე ძმას რა ჰქვია?

— ივ... ივანე! — სახე გაუნათდა აბიტურიენტს.

— აი, ხომ ხედავთ, იცის!

— კი, ბატონო, იცის! ახლა ამაზე მიპასუხეთ: ვინ შეირთო ივანემ ცოლად ფულის გულისთვის?

აბიტურიენტს ისევ ეცვალა ფერი.

— აი, ხომ ხედავთ, არ იცის, — მიუბრუნდა ქალს კომისიის წევრი, და შპარგალკიდანაც ვერ ამოიკითხა, იმიტომ რომ შპარგალკა მისი არ იყო. ვერ ამოიკითხა „შუშანა" და გამოუვიდა: „ივანე იძულებული გახდა ფულის გულისთვის ცოლად შეეროთო ბეჭანა". მეც, ქალბატონო, იძულებული გავხდი ამ სისულელის გამო „ორიანი" დამიწერა.

— მარტო ამ ერთი შეცდომისთვის? — არ გაუყდა ქალი.

— რატომ ერთი შეცდომისთვის?! აი, ინებეთ: „გაყრის" სხვა პერსონაჟი მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი მიგიხტა კახპაში ტრეტიაკოვი გახდა; ამიტომ მაკრინე მპრინეფ მოინათლა, ყარდაშვერდის გადაშენდი დაერქვა. თუმცა იმას კი ვერაფრით მივხვდი, სასამართლოს მოხელე რამაზი როგორ იქცა რამაზ მეფედ. ასეთი სისულელე არა მგონია იმ შპარგალკის პატრონს გაპარეოდა თავის ნაწერში.

ქალს სახეზე ალმური წაეკიდა, დაბნეული იდგა, საამრად ბოლომდე გაბოლილი უეცრად განიარაღებული აღმოჩნდა.

— კიდევ ხომ არ ინებებდით თქვენი შვილის შეცდომების ნახვას?

— რა აზრი აქვს...

— რა თქმა უნდა, არაფერი! ასევე აზრი არ ჰქონდა თქვენს აქ მობრძანებას, იმიტომ რომ, ...

ქომუნისტი

ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲐᲜᲘ

მეცნიერის ღვაწლის დაფასება

ᲐᲘ უკვე ორი წელიწადია, რაც ქართული ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სკოლას გამოაკლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — აპოლონ შეროზია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფსიქოანალიზის აკადემიისა და ამავე აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს, ფსიქოანალიზის აკადემიის ინტერნაციონალური ჟურნალის მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და დინამიკური ფსიქიატრიის მსოფლიო ასოციაციის დამფუძნებელი წევრი, ამავე ასოციაციის რეგიონალური თავმჯდომარე და მისი აღმასრულებელი საბჭოს მმართველი კომიტეტის წევრი... — ეს ტიტულები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მძიმე და დაძაბული შრომის წლებმა მოუტანა. ღრმა ერუდიცია, განსწავლულობა, ხალასი ნიჭი და მხურვალე გული—ეს ყველაფერი ახალგაზრდა მკვლევარმა სამშობლოს და მეცნიერების უანგარო სამსახურს მოახმარა.

თავისი შემოქმედებითი ძალებისა ფაფურიჩენის ჟამს წავიდა ცხოვრებიდან აპოლონ შეროზია.

„...მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩვენთვის, ჩვენი მეცნიერებისათვის... მან საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიზმისათვის, მეცნიერებისა და მშვიდობისათვის თანამშრომლობას", — წერდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფსიქოანალიზის აკადემიის პრეზიდენტი და დინამიკური ფსიქიატრიის მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი გიუნტერ ამონი.

ამას წინათ კიდევ ერთი დიდი აღიარება ხვდა წილად განსვენებულ ქართველ მეცნიერს — ფსიქოანალიზის გერმანული აკადემიის საბჭომ ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის სფეროში თვალსაჩინო მიღწევებისათვის აპოლონ შეროზიას აკადემიის ოქროს მედალი მიანიჭა.

ამ მედლის მინიჭება ყოველწლიურად არ ხდება — იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში „აჩენენს ხოლმე პირს" მეცნიერს, თუ იგი, აკადემიის წევრთა აზრით, საგანგებო პატივისცემას იმსახურებს როგორც პიროვნება და მკვლევარი.

ჯილდოს მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ აპოლონ შეროზია რიგით სულ მეექვსე მეცნიერია მთელ მსოფლიოში, რომელიც ამ პატივის ღირსად ცნეს.

— ბევრი ვარსკვლავი, — ამტკიცებენ ასტრონომები, — ისე საამოდ რომ აკაშკაშებს ცის თაღს, საუკუნეების წინ ჩამქრალა, მაგრამ მისი სინათლის სხივები ჯერაც მოედინებიან ჩვენსკენ. აპოლონ შეროზიას მეცნიერული მემკვიდრეობაც კიდევ მრავალ წელს ემსახურება ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზრის განვითარებას, კვლავ მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი გაჰყვება მის გაკვალულ გზას.

კ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ.

გᲬᲠ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

მშვიდობის მედალი—თეატრს



საარგრიუკენში წარმატებული გასტროლებისათვის, საქართველოსა და საარის მხარის კულტურული თანამშრომლობის გამტკიცებაში დიდი წვლილისათვის მეტეხის სახელმწიფო ახალგაზრდულ თეატრს ალბერტ შვაიცერის სახელმწიფო მშვიდობის მედალი მიენიჭა. ეს მედალი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაწესა ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის გაერთიანებულმა ცენტრმა.

საარბრიუკენის თეატრის სცენაზე თავიანთი სამი საუკეთესო დადგმა წარმოადგინეს ქართველმა მსახიობებმა, რომელთა გასტროლები დაემთხვა საარის მხარეში მიმდინარე საქართველოს დღეებს. დასავლეთგერმანელი მაყურებელი შეხვდა ი. ჭაბუკის მიხედვით დადგმული „შვეიკის", შექსპირის „მაკბეტის", დ. კლდიაშვილის მიხედვით დადგმული „უბედურებისა" და ნ. დუმბაძის მოთხრობის მიხედვით შექმნილი „დიდრო" გმირებს.

— მშვიდობის მედალი, რომელიც ჩვენთან ერთად მიენიჭა დღეების მონაწილე საქართველოს კიდევ რამდენიმე შემოქმედებითს კოლექტივს, დიდი პატივია ჩვენი თეატრის მსახიობებისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თეატრის მთავარმა რეჟისორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ს. მრეველიშვილმა.

საბჭოთა თეატრის მოღვაწეებს უპირველეს მოვალეობად მიიჩნიათ თავიანთი ხელოვნებით დამკვიდრონ მშვიდობისა და ჰუმანიზმის, პატრიოტიზმისა და ნამდვილი ინტერნაციონალიზმის იდეები, ამასთან ხელი შეუწყონ ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

მეტეხის ახალგაზრდული თეატრი ახალგაზრდების ესთეტიკური აღზრდის ნამდვილი ცენტრია. მის რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია ნაწარმოებებს, რომლებშიც აღძრულია თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები და რომლებიც მაყურებელს მაღალ მოქალაქეობრივ თვისებებს უნერგავენ.

(საქინფორმი).

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა სასპარტაკიადო შეჯიბრების ბოლოწინა, მეექვსე ტურის მატჩების შედეგებს: უკრაინა-ლენინგრადი — 68:66, მოსკოვი-ლიტვა — 95:66, ლატვია-რსფსრ — 72:61, ბელორუსია- საქართველო — 72:62. ბოლო ტურის წინ გთამაშების ცხრილში გუნდები ასე იყვნენ განლაგებული: მოსკოვი — 12 ქულა, უკრაინა — 11, ლატვია და რსფსრ — 9-9, ლენინგრადი, ლიტვა და ბელორუსია — 8-8, საქართველო — 7 ქულა. გუშინ კალათბურთელებმა ბოლო ტურის მატჩები გამართეს.

ფარეტეგით დაიწყეს

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ქ. პლოვდივში დაიწყო ვაჟ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩები. პირველ ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები — 5:2 (ერთი პარტია გადაიდო). ყიმზე შეთანხმდნენ პოლუგაევსკი-კი-ტრინგოვი, ტუკმაკოვ-სპასოვი, ფსახის-გეორგიევი და რომანიშინ-ერმენკოვი. ვაპანიანმა მოუგო ინკიევს, ბელიავსკიმ-ველიკოვს, იუსუპოვმა-სპირიდონოვს, პეტროსიანრაფაელოვის გადადებულ პარტიაში უპირატესობა მსოფლიო ექსჩემპიონი ინარჩუნებს.

მატჩები რვა დაფაზე იმართება. სამგზის მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი პირველ ტურში თავისუფალი იყო.

გთავაზობთ პირველი ტურის სხვა შედეგებს: ინგლისი-დანია — 5:2 (1), იუგოსლავია-უნგრეთი — 2,5:1,5 (4), ჰოლანდია-გფრ — 3:3 (2).

საფეხბურთო მერიდიანზე

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის ბოლო ორი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: „დნეპრი"-„შახტიორი" 3:2, მოსკოვის „დინამო"-ცსკა — 1:2, დღეისათვის გუნდების საატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ."	14	10	2	3	24-14	21
„ზენიტი"	14	7	4	3	17-11	18
„ჟალგირ."	14	6	6	2	14-10	18
„დინ." (მნ)	14	7	3	4	18-13	17
„სპარტაკი"	14	6	5	3	22-11	17
„ფახთაკ."	14	6	5	3	18-10	17
„დნეპრი"	15	6	4	5	22-19	16
„დინ." (კ)	14	6	4	4	12-13	16
„არარატ"	15	7	1	7	17-22	15
„ტორპ." (მ)	14	5	5	4	13-13	15
„შახტიორი"	15	6	2	7	16-17	14
„მეტალის."	14	5	3	6	15-16	13
ცსკა	14	5	3	6	11-13	13
„ნეფთჩი"	14	4	4	6	13-18	12
„დინ." (მ)	14	3	5	6	11-12	11
„დინ." (თბ)	14	3	3	8	13-18	9
„ტორპ." (ქ)	15	1	6	8	8-18	8
„ნისტრუ"	14	2	2	10	7-28	6

**ᲢᲔᲚ